

## არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრა, არაწრფივი მოვლენების ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

- ; სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, დაბორატორია) დასახელება, სადაც შესრულდა პროექტი: **არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრა, არაწრფივი მოვლენების ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი**
- \***სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი; არჩილ უგულავა**
- ; სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: **რამაზ ხომერიძი, სიმონ ჩხაიძე, ზაზა ტოკლიკიშვილი**

I. 1. **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**  
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	<p>მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობაში მყოფი სუპერპარამაგნეტიკის დამაგნიტება</p> <p>არაწრფივი მოვლენების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის მიმართულება</p>	<p>ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ა. უგულავა</p>	<p>ა. უგულავა ს. ჩხაიძე</p>

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ზოგიერთი ნანონაწილაკის მაგნიტური ანიზოტროპიის შინაგანი ენერგია ჭარბობს მის სითბურ ენერგიას ოთახის ტემპერატურაზე. ცნობილია, რომ მაგნიტურ ნანოსითხეებში ნანონაწილაკთა მაგნიტური ანიზოტროპიის დერძები მიმართულა ქაოსურად. საკმაოდ ძლიერ მაგნიტურ ველში ისინი პოლარიზდებიან მაგნიტური ველის გასწვრივ და ჩნდება ე.წ. მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობა. ჩვენს მიერ ნაჩვენებია, რომ იმ შემთხვევაში, როცა ანიზოტროპიის ენერგია ჭარბობს სითბურ ენერგიას, პოლარიზებული ნაწილაკების ქვესისტემის დამაგნიტების მრუდს აქვს განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ახლოსაა ჰიპერბოლურ ტანგენსთან. შემოთავაზებულ მოდელში ნანოსითხე შედგება ორი კომპონენტისაგან (ქვესისტემისაგან) ნაწილაკთა ცვლადი რიცხვით - ქაოსურად მიმართული დერძებისა და პოლარიზებული დერძების მქონე ნაწილაკების ქვესისტემებისაგან. მაგნიტური ველის სიდიდის ცვლილებასთან ერთად იცვლება ნაწილაკთა რიცხვი ქვესისტემებში, რის შედეგადაც იცვლება მთელი სითხის დამაგნიტებულობა. მაგნიტური ველის მოცემული მნიშვნელობისათვის ნანონაწილაკთა წონასწორული რიცხვი ქვესისტემებში განისაზღვრება ქვესისტემების ქიმიური

პოტენციალების ტოლობისაგან. ნაჩვენებია, რომ მაგნიტური სითხის ორკომპონენტიანი მოდულის საფუძველზე მიღებული დამაგნიტურის მრუდი მდებარეობს ლანჯევენის მრუდსა და ჰიპერბოლური ტანგენსის მრუდებს შორის, ანიზოტროპიის ზრდასთან ერთად დამაგნიტურის მრუდი სულ უფრო ემსგავსება ჰიპერბოლურ ტანგენსს და ძლიერი მაგნიტური ანიზოტროპიისას დამაგნიტურის ნაჯერობის მდგომარეობა მიღწევა უფრო ადრე, ვიდრე ეს გამომდინარეობს ლანჯევენის ოქორიიდან.

მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობა შინანონაში იდებს სახეს

$$H_f(\varphi) = H(\varphi, 0) = A \sin^2 \varphi - E \cos \varphi,$$

სადაც  $\varphi$  - კუთხეა მაგნიტური მომენტის ვექტორსა და ნანონაში იდებს ანიზოტროპიის დერმს შორის. მაგნიტოორერმოდინამიკურ სიდიდეთა გამოთვლის სტანდარტული პროცედურის თანახმად, შევადგინეთ ერთნაში იდება კოვანი სტატისტიკური ინტეგრალი მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობისათვის

$$z_D = (2f)^2 \int_0^f dE \sin E \int_0^f d\varphi \sin \varphi \exp[-H_f(\varphi)/kT],$$

რომლის ინტეგრირება გვაძლევს

$$z_p(a, b) = \frac{(4f)^2}{2\sqrt{a}} \left[ e^b D\left(\sqrt{a} + \frac{b}{2\sqrt{a}}\right) + e^{-b} D\left(\sqrt{a} - \frac{b}{2\sqrt{a}}\right) \right].$$

მაგნიტური პოლარიზაციისათვის ( $P_f = M/Nm$ ) სტატისტიკური ინტეგრალის გამოყენებით, მექანიკური ანიზოტროპიის არსებობის დროს მივიღეთ

$$P_f(a, b) = -\frac{b}{2a} + \frac{1}{2\sqrt{a}} \frac{2 \cdot \operatorname{sh} b}{e^b D(\sqrt{a} + b/2\sqrt{a}) + e^{-b} D(\sqrt{a} - b/2\sqrt{a})}.$$

აქ  $b = Bm/kT$  - მხოლოდ ბოლცმანის ფაქტორზე დამოკიდებული წევრია, ხოლო  $a = A/kT$  კი მხოლოდ ანიზოტროპიის უგანზომილებო ენერგიაზე დამოკიდებული წევრი.  $D(x) = \frac{\sqrt{\pi}}{2} \exp(-x^2) \operatorname{Erfi}(x)$  - დოუსონის ფუნქციაა, ხოლო  $\operatorname{Erfi}(x) = \frac{2}{\sqrt{\pi}} \int_0^x \exp(-y^2) dy$

ალბათობის ინტეგრალის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

## I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	სამეცნიერო მიმართულება-ბის მითითებით			
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

## I. 4.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	მაგნიტური ნანოსითხეების დამზადება და მათი მაგნიტური და ჰიპერთერმიული თვისებების შესწავლა	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი	ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი გ. გეგენავორი	ა. უგულავა
2.	სოლიტონური გადართვები ფოტონურ და მულტიფეროიკულ ნანოსტრუქტურებში ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რამაზ ხომერიკი	რამაზ ხომერიკი, არჩილ უგულავა, სიმონ ჩხაიძე, ვახტანგ ჯანდიერი
3.	სოლიტონური ტრანსპორტი მაგნიტურ ნანონაწილაკოვან სისტემებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და იტალიის CNR	რამაზ ხომერიკი	რამაზ ხომერიკი
4.	დინამიკა და თერმოდინამიკა მაგნიტურ ნანონაწილაკოვან სისტემებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საფრანგეთის CNRS	რამაზ ხომერიკი	რამაზ ხომერიკი, ლაშა ტყეშელაშვილი
5.	ბარიერული ტიპის ტალღამტარული სისტემების და წრედების შექმნა მიკრო და მილიმეტრული დიაპაზონის ხელსაწყოებისათვის	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვახტანგ ჯანდიერი	ვახტანგ ჯანდიერი, რამაზ ხომერიკი, გიორგი მილოშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

1. სუპერპარამაგნიტური მაკროსისტების დამაგნიტების პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის შემადგენლობაში მყოფ ნანონაწილაკთა მაგნიტური ანიზოტროპიის დერძების ორიენტაციაზე. ფხვნილოვან მდგომარეობაში მყოფი სუპერპარამაგნეტიკის ნანონაწილაკთა დერძები მიმართულია ქაოსურად და „გაყინულია“ ასეთ მდგომარეობაში. დამაგნიტების პროცესზე მაგნიტური ანიზოტროპიის გავლენის თანმიმდევრული და მკაცრი შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ნანონაწილაკთა ანიზოტროპიის დერძების ქაოსურობა მთლიანად თრგუნავს ნანონაწილაკთა ანიზოტროპიის გავლენას დამაგნიტების პროცესზე და ამიტომ ამ შემთხვევაში დამაგნიტების მრუდს აქვს ლანგევენისეული ფორმა. ფხვნილოვან პარამაგნიტებისაგან განსხვავებით, პარამაგნიტურ ნანოსითხეებში ნანონაწილაკთა სისტემა არ არის „გაყინული“ და თითოეულ ნაწილაკს შეუძლია ბრუნვა როგორც მაგნიტური ველის გავლენით, ისე სითხის მოლეკულების შემთხვევითი დაჯახების შედეგად.

ცნობილია, რომ საკმარისად ძლიერი მაგნიტური ველის გავლენით ხდება ანიზოტროპიის დერძების დაპოლარება, ანუ მექანიკური ანიზოტროპიის დამყარება. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება დამაგნიტების მრუდის ფორმა. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა დამაგნიტების პროცესი მექანიკური ანიზოტროპიის პირობებში და ნაჩვენებია, რომ ამ შემთხვევაში დამაგნიტების მრუდს აქვს საეციფიკური ფორმა, რომელიც ძლიერი ანიზოტროპიის ზღვარში იღებს პიპერბოლური ტანგესის ფორმას.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მაგნიტური ნანოსითხეების დამაგნიტების პროცესი დასაწყისში იქნება ლანგევენისეული, ხოლო დასასრული (გაჯერების მახლობლობაში) იქნება ჩვენს მიერ თეორიულად მიღებული ფორმულის შესატყვის.

2. ჩვენ ვიხილავთ ორ სუსტად ბმულ არაწრფივ ოსცილატორულ ჯაჭვს ლანდაუ-ზენერის ტუნელირების მექანიკური ანალოგის შესწავლის მიზნით. ჯაჭვების მასები თანდათან იყლებს (იმატებს) ზედა (ქვედა) ჯაჭვში. ეს მოდელი საშუალებას გვაძევს განვაზოგადოთ ლანდაუ ზენერის ქვანტური ტუნელირების ეფექტი სოლიტონების ერთი ჯაჭვიდან მეორეში გადასვლისათვის. ნაჩვენებია, რომ სოლიტონის ტუნელირების მახასიათებლები არაწრფივ რეჟიმში მკვეთრადაა დამოკიდებული სოლიტონის ამპლიტუდაზე. ტუნელირების თეორიის ეს მიღგომა დადასტურებულია სოლიტონურ ჯაჭვებზე პირდაპირი რიცხვითი სიმულაციების მეშვეობით.

3. ჩვენ ვიკვლევთ სოლიტონების არსებობისა და გავრცელების შესაძლებლობას ფერმი-პასტა-ულამის არაპარმონიული ჯაჭვის შორსქმედ ვერსიაში, სადაც წრფივი ურთიერთქმედების წევრში ბმის კონსტანტა ხარისხსობრივი კანონით კლებულობს. ჩვენ მივიღეთ ანალიზური მიახლოებითი გამოსახულება კონვერტული მოძრავი სოლიტონისთვის, რომელიც აღიწერება არაწრფივი შრედინგერის განტოლებით. შესაბამისი დისპერსიული თანაფარდობის არაანალიზური თვისებების გამო ჩვენ მოგვიხდა შეშფოთების თეორიის შექმნა სხვაობითი დიფერენციალური ოპერატორების გამოყენებით. ეს გარემოება აგრეთვე კრძალავს სტაბილური გრძელტალდოვანი კინკ-სოლიტონური ამონასხენების არსებობას, რაც მკვეთრად განსხვავდება ახლოქმედი ფერმი-პასტა-ულამის ჯაჭვის შემთხვევისაგან. ჩვენ წარმატებით დავამთხვიერ ანალიზური შედეგები რიცხვით სიმულაციებს შესაბამის მოდელზე.

4. პირველ ყოვლისა ჩვენ გავაკეთეთ რიცხვითი სიმულაციები ერთგანზომილებიან სპინურ მოდელზე თერმოსტატის არსებობისას და გამოვითვალეთ რელაქსაციის დროები. ჩვენ შევამოწმებთ როგორ მუშაობს ეფექტური ერთგანზომილებიანი მოდელი. საქმე ისაა, რომ პატარა ნიმუშების შემთხვევაში ყველა-ყველასთან ურთიერთქმედების დაშვება შეიძლება შესწორებებს მოითხოვდეს. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა სამგანზომილებიან სისტემაზე რიცხვითი სიმულაციების ჩატარება, შედეგების შედარება

ეფექტურ ერთგანზომილებიან მოდელთან და ექსპერიმენტისთვის რეალისტური პარამეტრების შეთავაზება.

5. პროექტის ფარგლებში ჩვენ შევისწავლით ბარიერული ტიპის ტალღამტარულ სისტემებსა და წრედებს როგორც ანალიზურად, ასევე რიცხვით, ექსპერიმენტულ შესწავლას და დამზადებას. ჩვენ განვიხილავთ ბარიერული ტიპის სისტემებს, რომლებიც შედგება დიელექტირებულ გარემოში პერიოდულად ჩაღავებულ მეტალური და მაღალი დიელექტრიკული შეღწევადობის მქონე სვეტებისაგან. აღნიშნულ სტრუქტურას ექნება ფართო გამოყენება მიკრო და მილიმეტრული დიაპაზონის ხელსაწყოებში. პროექტის ფარგლებში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ზონური და ღრეული ფილტრების, წრიული რეზონატორების, სიმეტრიული და ანტისიმეტრიული ტალღამტარული სტრუქტურებისა და წრედების ანალიზს და მათ დამზადებას. ჩვენი პროექტის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: ა) ჩვენ პირველად წარმოავადგენთ ღრმა ფუნდამენტურ ანალიზს ბარიერული ტალღამტარული სისტემებისა და წრედებისათვის; ბ) ჩვენ ვქმნით რიცხვით კოდს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ხებისმიერი კონფიგურაციის მქონე ბარიერული ტიპის ტალღამტარული სისტემის და წრედის ანალიზი; გ) ჩვენ ვატარებთ დეტალურ ექსპერიმენტულ კვლევებს და დავამზადებთ მრავალ-ფუნქციონალურ, მცირე ზომის ბარიერული ტალღამტარულ სისტემებსა და წრედებს.

## II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ს. ჩხაიძე	ამოცანები ზოგად ფიზიკაში. ოპტიკა და ატომური ფიზიკა, 2016 წ.	თბილისი, თსუ გამოცემა დამტკიცებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს მიერ.	47
2	ა. უგულავა, ზ. ტოკლიკიშვილი	ამოცანები სტატისტიკურ ფიზიკაში, 2016 წ.	თბილისი, თსუ	248

### ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. ნაშრომი წარმოადგეგნს ზოგადი ფიზიკის ამოცანათა კრებულს, რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მართალია არსებობს ქართულ ენაზე გამოცემული უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი რამდენიმე ამოცანათა კრებული ზოგად ფიზიკაში, მაგრამ ისინი განკუთვნილია ან მხოლოდ ფიზიკის მიმაღლულების სტუდენტებისათვის და შეიცავენ გაზრდილი სირთულის ამოცანებს, ან არ არის ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის – არ არსებობს მათი ელექტრონული ვარიანტი. ჩვენი მიზანი გახდათ ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსება.

წიგნში თავმოყრილია ამოცანები წინა წლებში გამოცემული სხვადასხვა ამოცანათა კრებულიდან, რომლებიც განკუთვნილი იყო ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლებისათვის. სამომავლოდ გათვალისწინებულია კრებულში ტალღური ოპტიკის ამოცანების რაოდენობის გაზრდა და კვანტური მექანიკის ელემენტების შემოტანა, რათა არასპეციალიზებული მიმართულების სტუდენტებსაც შეექმნათ ელემენტარული წარმოდგენა ფიზიკის ამ მიმართულებაზე. გათვალისწინებულია აგრეთვე ამოცანების ამოხსნის ნიმუშებისა და შედარებით როლი ამოცანების დამატება.

2. ამოცანათა კრებული მოიცავს ამოცანებს სტატისტიკურ ფიზიკაში და თერმოდინამიკაში. ის განკუთვნილია ფიზიკის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. ამოცანათა კრებულით შეუძლიათ ისარგებლოო აგრეთვე ფიზიკის მიმართულების მაგისტრატურისა და სხვა მიმართულების სტუდენტებსაც, რომლებიც სწავლობენ სტატისტიკურ ფიზიკას. ამოცანათა კრებული დაყოფილია პარაგრაფებად. თვითონელი პარაგრაფის დასაწყისში მოყვანილია მოკლე თეორიული მასალა, რომლის ცოდნაც აუცილებელია ამოცანის ამოხსნისათვის. კრებულში მოყვანილია ზოგიერთი ამოცანის ამოხსნა და პასუხები.

### სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	.		GESJ	<a href="http://gesj.internet-academy.org.ge">http://gesj. internet- academy.org.ge</a>	11
2	.	-	2016		
3	.		No.1(15)		
4	.				

### ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

დაბალი ტემპერატურების დროს, მაგნიტური თავისუფლების ხარისხებით განპირობებული სუპერკარამაგნიტური ”იდეალური გაზის” სითბოტევადობა, შეიძლება მნიშვნელოვნად ჭარბობდეს მესერულ სითბოტევადობას. ნაჩვენებია, რომ გარეშე მაგნიტური ველის არსებობისას სითბოტევადობის მაგნიტური ნაწილის ტემპერატურულ დამოკიდებულებას აქვს ორი მაქსიმუმი. მიღებულია თანაფარდობები რომლებიც აკაგშირებენ ერთმანეთთან ამ მაქსიმუმებს ნანონაწილაკის მაგნიტურ მომენტთან და მაგნიტური ანიზოგროპიის მუდმივასთან. დაბალტემპერატურული კალორიმეტრიის მეთოდით სითბოტევადობის მაქსიმალური მნიშვნელობის შესაბამისი ტემპერატურის გაზომვით, ჩვენს მიერ მიღებულ თანაფარდობებიდან შესაძლებელია ნანონაწილაკის მაგნიტური მომენტისა და ანიზოგროპიის კონსტანტის რიცხვითი მნიშვნელობების განსაზღვრა.

II.2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

Nº	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

კრებულები

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შერნალის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემ ლობა	გვერდების რაოდენობა
1	. . .	-	ბეჭდვაშია том 118, № 4 (апрель), 2017, <a href="http://impo.imp.ru/an.ru/fmm/#">http://impo.imp.ru/an.ru/fmm/#</a>	რუსეთი, Физика металлов и металловед ение	10
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე					

ზოგიერთი ნაწილაკისათვის მაგნიტური ანიზოტროპიის შინაგანი ენერგია ჭარბობს მის სიობურ ენერგიას. ძლიერი მაგნიტური ანიზოტროპიის არსებობას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სუპერპარამაგნეტიკის დამაგნიტების პროცესზე. მაგრამ, თუ ნაწილაკთა მაგნიტური ანიზოტროპიის დერძები ორიენტირებული არიან ქაოსურად, მაშინ მათი არსებობა გავლენას არ ახდენს დამაგნიტების პროცესზე, რომელიც მიმდინარეობს ლანჯევენის კლასიკური თეორიის თანახმად. თუ ნანონაწილაკთა დერძები პოლარიზებულია (მექანიკური ანიზოტროპია), მაშინ დამაგნიტების მრუდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ლანჯევენისეულისაგან.

ამ ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სუპერპარამაგნეტიკის დამაგნიტების მრუდი მექანიკური ანიზოტოროპიის არსებობისას მდებარეობს ლანგევენის მრუდსა და პიპერბოლური ტანგენსის მრუდს შორის და ანიზოტოროპიის ზრდასთან ერთად სულ უფრო უახლოვდება ამ უკანასკნელს. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ფხვნილოვანი სუპერპარამაგნეტიკების დროს მექანიკური ანიზოტოროპიის არსებობას მიღყავართ მნიშვნელოვან რაოდენობრივ ცვლილებამდე კიურის კონსტანტაში.

2	R. Khomeriki and Sergej Flach	“Landau-Zener Bloch Oscillations with Perturbed Flat Bands”, Phys. Rev. Lett.,	116, 245301.	USA, APS	4
---	-------------------------------	--	--------------	----------	---

ჩვენ ვიხილავთ ორ სუსტად ბმულ არაწრფივ ოსცილატორულ ჯაჭვს ლანდაუ-ზენერის ტუნელირების მექანიკური ანალოგის შესწავლის მიზნით. ჯაჭვების მასები თანდათან იკლებს (იმატებს) ზედა (ქვედა) ჯაჭვში. ეს მოდელი საშუალებას გვაძევს განვაზოგადოთ ლანდაუ ზენერის ქვანტური ტუნელირების ეფექტი სოლიტონების ერთი ჯაჭვიდან მეორეში გადასვლისათვის. ნაჩვენებია, რომ სოლიტონის ტუნელირების მახასიათებლები არაწრფივ რეჟიმში მკვეთრადაა დამოკიდებული სოლიტონის ამპლიტუდაზე. ტუნელირების თეორიის ეს მიდგომა დადასტურებულია სოლიტონურ ჯაჭვებზე პირდაპირი რიცხვითი სიმულაციების მეშვეობით.

3	R. Khomeriki, L. Chotorlishvili, I. Tralle, and J. Berakdar	“Positive–Negative Birefringence in Multiferroic Layered Metasurfaces”, Nano Letters	16, 7290 (2016)	USA, ACS	5
---	---	--	-----------------	----------	---

პირველ ყოვლისა ჩვენ გავაკეთეთ რიცხვითი სიმულაციები ერთგანზომილებიან სპინურ მოდელზე თერმოსტატის არსებობისას და გამოვითვალეთ რელაქსაციის დროები. ჩვენ შევამოწმებთ როგორ მუშაობს ეფექტური ერთგანზომილებიანი მოდელი. საქმე ისაა, რომ პატარა ნიმუშების შემთხვევაში ყველა-ყველასთან ურთიერთქმედების დაშვება შეიძლება შესწორებებს მოითხოვდეს. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა სამ განზომილებიან სისტემაზე რიცხვითი სიმულაციების ჩატარება, შედეგების შედარება ეფექტურ ერთგანზომილებიან მოდელთან და ექსპერიმენტისთვის რეალისტური პარამეტრების შეთავაზება.

4	M. Azimi, M. Sekania, S. K. Mishra, L. Chotorlishvili, Z. Toklikishvili, and J. Berakdar	Pulse and quench induced dynamical phase transition in a chiral multiferroic spin chain,  PHYSICAL REVIEW B	94, 064423 (2016)	American Physical Society (United States)	12
---	--	---	-------------------	---	----

შესწავლილია მაგნიტური მოწესრიგებულობის კვანტური დინამიკა კირალურ მულტიფეროიკულ ჯაჭვში. ჩვენს მიერ განხილულ იქნა ორი სხვადასხვა სცენარი: ულტრამოკლეტერაპერცის რიგის აღგზებები ანდა უეცარი ჩახშობა ელექტრული ველით. ჩვენს მიერ შესრულებული იქნა ზუსტი ანალიზური და რიცხვითი გამოვლები. ჩვენ ვსწავლობდით იპულსებით ინდუცირებულ სპინის დინამიკას და განვიხილეთ სიდიდეები რომლებიც შეესაბამებიან ქვანტურ ინფორმაციულ პროცესებს. კერძოთ ჩვენ განვიხილეთ ვონ-ნეიმანის ენტროპია და წყვილური და მრავალსხეულოვანი გადაბმულობა. თუ გენერირებული მდგრადებების მახასიათებელი სისტემები არ არის თანაზომადი მაშინ ადგილი აქვს წყვილური პარალელიზმის ნაწილობრივ დაკარგვას. თუ გავზრდით

სისტემის ზომას ეფექტი ხდება უფრო მკვეთრად გამოხატული. მრავალნაწილაკოვანი გადაბმულობა და კირალობა არის ძლიერი და ინახება არათანაზომადი ფაზებისთვის. იმისათვის რომ გაგვენალიზებინა დინამიკური კვანტური გადასვლები ჩახშობადი და გარე იმპულსებით ინდუცირებული დინამიკისთვის ჩვენ გამოვიყენეთ ვეიერშტრასის ფაქტორიზაციის ტექნიკა მთელი ფუნქციებისთვის და ლანცოშის ზუსტი დიაგონალიზაციის მეთოდი. მცირე სისტემებისთვის ჩვენ მივიღეთ ანალიზური შედეგი ლოშმიდტის ექს სიჩქარის ფუნქციისათვის. ზუსტმა რიცხვითმა გამოთვლებმა სისტემისათვის რომელიც შეიცავდა 40-მდე სპინს დაადასტურა ფაზური გადასვლა. ჩახშობით გამოწვეული დიამიკური გადასვლები ბოლო ხანების ინტენსიური კვლევის საგანია. ჩვენს მიერ ნაჩვენები იქნა მსგავსი დინამიკური გადასვლები შეიძლება მიღწეული და კონტროლირებადი იყოს შესაბამისი ელექტრული იმპულსებით.

5	L. Chotorlishvili, M. Azimi, S. Stagraczynski, Z. Toklikishvili, M. Schüller, and J. Berakdar	Superadiabatic quantum heat engine with a multiferroic working medium, PHYSICAL REVIEW E	94, 032116 (2016)	American Physical Society (United States)	12
---	---	--	-------------------------	---	----

მოყვანილია ქვანტური თერმოდინამიკული ციკლი, მუშა სხეულად აღებულია კირალური მულტიფეროიკი ისეთი როგორიცაა LiCu2O2. გამოყენებულია ადიაბატურობა იმისათვის რომ მიღწეულ იქნას ეფექტური, სასრული დროის ქვანტური თერმოდინამიკული ციკლი, რიომელიც დამოკიდებულია სპინის მოწესრიგებულობაზე. წარმოქმნილი ელექტრული პოლარიზაცია ასოცირებულია კირალურ სპინური წესრიგთან, ე.ი. მაგნიტოელექტრონული კავშირი საშუალებას გვაძლევს ვმართოთ სპინური წესრიგი გარე ელექტრული ველით და ამიტომაც შესაძლებელია ციკლის ელექტრული ველით კონტროლი. იმის გამო რომ არსებობს კავშირი სპინურ და ელექტრონულ პოლარიზაციას შორის, ციკლის დროს სრულდება ელექტრომაგნიტური მუშაობა. ჩვენ დავთვალეთ მუშაობის საშუალო კავდრატული ფლუქტუაცია, შეუქცევადი მუშაობა და ციკლის გამოსავალი სიმძლავრე. ჩვენს მიერ დამზერილ იქნა რომ მუშაობის საშუალო კვადრატული ფლუქტუაცია იზრდება ადიაბატური დარტყმების დროს, მასინ როდესაც შეუქცევადი მუშაობა და გამოსავალი სიმძლავრე ქრება ქვანტური ადიაბატური დარტყმების დროს. ეს ამტკიცებს რომ ციკლი არის შექცევადი. თეორიული კვლევებით მტკიცდება რომ სისტემაში არსებობს მაქსიმალური გამოსავალი სიმძლავრე. ლინდბადის განტოლებების გამოყენებით განვსაზღვრეთ სითბური რელაქსაციების როლი ციკლის ეფექტურობაში. ასევე განხილული გვაქვს გადაბმულობის როლი, რომელიც კოდირებულია არაკოლენიალურ სპინურ მოწესრიგებულობაში, როგორც საშუალება რომელიც გავლენას ახდენს ქვანტურ თერმოდინამიკულ ციკლზე.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	არჩილ უგულავა თანაავტორები: ზ. ტოკლიშვილი, ს. ჩხაიძე, ზ. როსტომაშვილი	ნაონაწილაკების მაგნიტური მახასიათებლების განსაზღვრა დაბალტემპერატურული კალორიმეტრის მეთოდით	თსუ მეოთხე საფაკულტეტო კონფერენცია 25-29 იანვარი 2016 წ

**მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე**

დაბალ ტემპერატურებზე ენერგიის ანიზოტროპიის არსებობამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს სუპერპარამაგნიტური „იდეალური გაზის“ სითბოტევადობაზე. საკმაოდ დაბალ ტემპერატურებზე, როდესაც ერთდღერძა მაგნიტური ნანონაწილაკების ენერგია ჭარბობს სითბურ ფლუქტუაციებს, ანიზოტროპიის ენერგია შეიძლება წარმოდგენილ იქნას ორი თერმოდინამიკური ქვესისტემის ენერგიების ჯამის სახით. ერთ-ერთი მათგანი შედგება ძირითადად ანიზოტროპიის ღერძის გასწვრივ ორიგნტირებულ მაგნიტურ ნანონაწილაკებისაგან, ხოლო მეორე ქვესისტემის ნაწილაკებს აქვთ საპირისპირო მიმართულება. ჩნდება ანალოგია ჩვენს მიერ განხილულ ანიზოტროპიის ენერგიასა და კვანტურ ორდონიან სისტემას შორის. ამ ანალოგიის გამოყენებით შეიძლება დავუშვათ, რომ სითბოტევადობის მაგნიტური ნაწილის ტემპერატურულ დამოკიდებულებას (მოტკის ანომალიის მსგავსად) ექნება მკვეთრი პიკი. სითბოტევადობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების მრუდზე ჩვეულებრივ დამოკიდებულებასთან ერთად დაბალ ტემპერატურებზე მართლაც ჩნდება უბანი ორი მკვეთრი მაქსიმუმით. მიღებულია თანაფარდობა, რომელიც აკავშირებს სითბოტევადობის მაქსიმუმებს ნანონაწილაკის მაგნიტურ მომენტან და მაგნიტური ანიზოტროპიის კონსტანტასთან. ამ დამოკიდებულების მეშვეობით, სითბოტევადობის მაქსიმალური მნიშვნელობების გაზომვებიდან შეიძლება მივიღოთ მაგნიტური მომენტის და ანიზოტროპიის კონსტანტის რიცხვითი მნიშვნელობები.

2	ზაზა ტოკლიკიშვილი	დინამიური ქაოსი და სპინის კორელაციური ფუნქციები ნანომაგნიტების ჯაჭვში.	თსუ მეოთხე საფაკულტეტო კონფერენცია 25-29 იანვარი 2016 წ
---	-------------------	--	--

შესწავლითია ერთმანეთთან დაკავშირებული ნანომაგნიტების ჯაჭვი კლასიკურ მიახლოებაში. ნაჩვენებია, რომ უსასრულო ჯაჭვი შეიზღება ეფექტურად გამოისახოს ერგანზომილებიანი ჰამილტონიანით, ფიქტიურ დორზე დამოკიდებული შეშფოთებით. დადგენილია კავშირი კლასიკური სისტემის დინამიურ მახასიათებლებსა და სპინების ერთმანეთთან კორელაციის დროის შორის.

ნაჩვენებია რომ სპინებს შორის კორელაციის ფუნქციის დაცემის სიჩქარე დამოკიდებულია ლოგარითმულად ლიაპუნოვის ექსპონენტის მაქსიმალურ მნიშვნელობაზე. გარდა ამისა განხილულია გაცვლითი მუდმივების ანიზოტროპიის გავლენა სპინური ჯაჭვის დინამიკაზე.

3	ს. ჩხაიძე, ა. უგულავა, შ. პეტრია	სუპერპარამაგნეტიკების დამაგნიტების თეორია. კიურის კანონი მაგნიტური სითხეებისათვის	თსუ მეოთხე საფაკულტეტო კონფერენცია 25-29 იანვარი 2016
---	----------------------------------	---	--

ზოგიერთი ნანონაწილაკის შინაგანი მაგნიტური ანიზოტროპიის ენერგია შესაძლოა იმდენად დიდი იყოს, რომ სჭარბობდეს სითბურ ენერგიას ოთახის ტემპერატურაზეც კი. ასეთ შემთხვევაში, ნაწილაკის მაგნიტურმა ანიზოტროპიამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კ.წ. მაგნიტური სითხის დამაგნიტების პროცესზე. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ძლიერად ანიზოტროპული ნანონაწილაკების შემცველი მაგნიტური სითხის დამაგნიტების მრუდი განხსნავდება ცნობილი ლანგევენისეული მრუდისაგან. იგი მდებარეობს ლანგევენისა და ჰიპერბოლური ტანგენის მრუდებს შორის. ნაჩვენებია, რომ ანიზოტროპიის კონსტანტის გაზრდისას დამაგნიტების მრუდი უახლოვდება ჰიპერბოლური ტანგენის მრუდს. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ნანონაწილაკების ძლიერი მაგნიტური ანიზოტროპია მაგნიტურ სითხეებში გვაძლევს კიურის კანონის შესწორებას.

კიურის მუდმივას შესწორების თეორიული გამოთვლები თანხვდენაშია ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ გაზომვებთან.

## ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

## ასტროფიზიკის კათედრა

- : სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება, სადაც შესრულდა პროექტი;
  - თუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტი, ასტროფიზიკის კათედრა
- \* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი; ნანა შათაშვილი,  
ასტროფიზიკის კათედრის გამგე
- : სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
  - ნანა შათაშვილი (თსუ პროფესორი)
    - ალექსანდრე თევზაძე (თსუ ასოც. პროფესორი)
    - ელენე უჩავა (თსუ დოქტორანტი)
    - დავით ხუციშვილი (თსუ დოქტორანტი)
    - ლუკა პონიაზოსკი (თსუ მაგისტრანტი)
    - სალომე მჭედლიძე (თსუ მაგისტრანტი)
    - მარიამ ალბექიონი (თსუ მაგისტრანტი)
    - ალექსანდრე ბარნაველი (თსუ სტუდენტი 2016 წლის სექტემბრამდე, ბაკალავრიატი)
    - ვაჟა ლოლაძე (თსუ სტუდენტი, ბაკალავრიატი)
    - ირაკლი ჯოხაძე (თსუ სტუდენტი, ბაკალავრიატი)
    - მარიამ გოგილაშვილი (თსუ სტუდენტი, ბაკალავრიატი)
    - ერეკლე არშილავა (თსუ სტუდენტი, ბაკალავრიატი)
    - ბექა მოდრეკილაძე (თსუ სტუდენტი, ბაკალავრიატი)
- II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები  
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი ოცნრიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ გრცელი ანობაცია (ქართულ ენაზე)			

### II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით		
1	დისკი-ჯეტის უნივერსალური მოდელი  ფიზიკა - ასტროფიზიკა	ნანა შათაშვილი	6. შათაშვილი, ა. თევზაძე ვ. ლოლაძე ი. ჯოხაძე მ. გოგილაშვილი ქ. არშილავა ბ. მოდრეკილაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის მიზნობრივი პროექტის „ასტროფიზიკური თხელი აკრეციული დისკების ჯეტების ფორმირება“ ფარგლებში გაგრძელდა კვლევები დისკი-ჯეტის უნივერსალური მოდელის (Shatashvili & Yoshida, 2012) გამოყენებით კონკრეტული ასტროფიზიკური ობიექტებისათვის მოდელისა და კერძო ამონასნების საძიებლად. კერძოდ:

(i) **ახალგაზრდა გარსევლავური ობიექტების დისკი-ჯეტის ჰიდროდინამიკური მოდელის ასაგებად:** პროტოვარსევლავური აკრეციული დისკებისა და ჯეტების დინამიკის აღსაწერად. გამოყენებულია დისკის ტურბულენტობის ანომალური სიბლანტის ალფა მოდელი, რომლის საშუალებითაც აგებულია სამგანზომილებიანი ღერძულად სიმეტრიული ტურბულენტური სიბლანტის დაძაბულობის ტენზორი. მიღებული სისტემა წონასწორული მდგომარეობებისათვის ამონსნილია განზოგადოებული ბელტრამის დინების მოდელის ფარგლებში ანალიზურად. აღნიშნული მოდელის ფარგლებში ანალიზური ავტომოდელური მიღგომის გამოყენებით ზოგადი კერძო წარმოებულებიანი ორგანზომილებიანი ამოცანა დაყვანილია განზოგადოებულ აგტომოდელურ ცვლადებში ჩაწერილ ერთი ცვლადის ფუნქციებად. მიღებულია ამონასნი, რომელიც უწყვეტად გადადის ძირითადად აზიმუტალური დისკის დინების არიდან ვეტრიკალურად მიმართული ჯეტის არქში. მიღებული ამონასნი წარმოადგენს მნიშვნელოვან შედეგს ჰიდროდინამიკური ასტროფიზიკური ჯეტების ანალიზური აღწერისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც იონიზაციის ხარისხი დაბალია და შესაძლებელია მაგნიტოდინამიკური (მჰდ) ეფექტების უგულვებელყოფა.

#### კონკრეტული შედეგებიდან გამოვყოფთ:

- შესწავლილია თხელი აკრეციული დისკების ჯეტების ფორმირება ბელტრამის განზოგადო-ებული დინების მოდელზე დაყრდნობით;
- ნაპოვნია ტურბულენტური ეფექტური სიბლანტის პარამეტრი, აგებულია პროტოპლანეტალური დისკი-ჯეტის სტრუქტურის აღმწერი განტოლებები.
- ნაპოვნია ფუნდამენტური ამონასნი ნეიტრალური თხელი დისკისათვის.

ამ ამოცანის კვლევის შედეგები გამოქვეყნდება პუბლიკაციაში:

E. Arshilava, M. Gogilashvili, I. Jokhadze, V. Loladze, B. Modrekiladze, N.L. Shatashvili, A.G. Tevzadze. *Formation of Hydrodynamic Jets from Protostellar Accretion Disks with Turbulent Viscosity,*

*Monthly Not. Roy. Ast. Soc. (in preparation).*

ამოცანის შედეგები მოხსენიებულ იქნა თსუ 76-ე სტუდენტთა კონფერენციაზე:  
„იონიზებული თხელი აკრეციული დისკების ჯეტების ფორმირება“

ერეპლე არშილავა, მარიამ გოგილაშვილი, ვაჟა ლოლაძე, ბექა მოდრეკილაძე, ირაკლი ჯოხაძე. მოხსენებამ დაიკავა მეორე ადგილი სექციაზე: „თეორიული ფიზიკა“.

(ii) ნაწილობრივ/სრულად იონიზებული თხელი აკრეციული დისკების ჯეტების/ქარების ფორმირება

იმავე მოდელზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა დამატებითი ეფექტების, როგორიცაა მაგნიტური ველი, ორ-სითხოვანობა და რელატივიზმი, როლი დისკი-ჯეტი სტრუქტურის ფორმირებაში. ნაჩვენებ იქნა მაკონტროლებელი პარამეტრების მუშაობის დიაპაზონები და აგებულ იქნა მაილუს-ტრირებელი გრაფიკები.

კონკრეტული შედეგებიდან გამოვყოფთ:

- აგებულია ამონასსნი იონიზებული თხელი დისკებისათვის ერთ-სითხოვან მიახლოებაში.
- ნაპოვნია კოლიმირებული ჯეტების არსებობის პირობები, მაგნიტური ველის როლი.
- ჩაწერილია განზოგადოებული განტოლებები ორ-სითხოვანი მოდელისათვის.
- ჩაწერილია განზოგადოებული განტოლებები ორ-სითხოვანი რელატივიზისტური თხელი დისკებისათვის.
- იგეგმება ერთიანი მოდელის აგება და ილუსტრირება თხელი იონიზებული რელატივიზისტური ასტროფიზიკური დისკების ჯეტის ფორმირების ამოცანისათვის .

ამ ამოცანის კვლევის შედეგები გამოქვეყნდება პუბლიკაციაში:

**M. Gogilashvili, I. Jokhadze, V. Loladze, N.L Shatashvili, A.G. Tevzadze. Two-fluid MHD Description of Jets from Accretion Disks of YSOs, Phys. Plasmas (in preparation).**

ამოცანის შედეგები მოხსენიებულ იქნა თხუ 76-ე სტუდენტთა კონფერენციაზე : „იონიზებული თხელი აკრეციული დისკების ჯეტების ფორმირება“  
ერეპლე არშილავა, მარიამ გოგილაშვილი, ვაჟა ლოლაძე, ბექა მოდრეკილაძე, ირაკლი ჯოხაძე. მოხსენებამ დაიკავა მეორე ადგილი სექციაზე: „თეორიული ფიზიკა“.

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	დინების დინამიკა და გრიგალური და წონასწორული მოვლენები მრავალკომპონენტიან ასტროფიზიკურ პლაზმებში <b>ფიზიკა - ასტროფიზიკა</b>	ნანა შათაშვილი	ნ. შათაშვილი მ. ალბექიონი  თხუ ანდორნიერშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი: გ. ბერეჟიანი, ქ. სიგუა
(o)	ნაჩვენებია მკვრივ გადაგვარებულ პლაზმებში მრავალმასშტაბიანი წონასწორული სტრუქტურების არსებობის შესაძლებლობა. ასეთი გარემო გვხდება როგორც ასტროფიზიკურ, ისე ლაბორატორიულ პირობებში. კვლევით		

დადასტურდა გარანტირებული მასშტაბთა განცალების მოვლენა ასეთ სისტემებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ხელსაყრელი პირობების დაკმაყოფილდების შემთხვევაში შესრულდება ენერგიის გარდაქმნის პირობები გაცხელების/გაციების, შეკუმშვა/გაფართოებისა თუ დინების აჩქარების, მაგნიტური ველების გენერაციის პროცესებისათვის. ანალიზმა ე-პ-ი პლაზმისათვის მოძრავი კლასიკური იონების მცირე მინარევითა და გადაგვარებული ე-პ სითხეებისათვის გამოავლინა მნიშვნელოვანი თვისება ასეთი სისტემისა ფიზიკური, დინამიური დიდი მასშტაბის არსებობის მიმართ (ოთხმაგი ბელტრამის განტოლების ამონასნი), რაც გამოწვეულია მოძრავი იონური მინარევით; იონების მოძრაობის უგულებელყოფისას გადაგვარებით გამოწვეული ინერციის ეფექტს მივყავართ მეორე დიდ-მასტაბთან (სამმაგი ბელტრამის განტოლების ამონასნი). მიღებული შედეგები ხნის დიდ-მასშტაბიანი სტრუქტურების არსებობას ასტროფიზიკურ ობიექტებში გადაგვარებული პლაზმებით. შედეგად ვასკვნით, რომ ვარსკვლავის შეკუმშვისას მისი გარე შრე ინარჩუნებს მრავალ-მასშტაბურ სტრუქტურულ თვისობრიობას, მაშინ როდესაც სიმკვრივე ამ სტრუქტურებში აღიწერება გადაგვარების წნევით. მსგავსი სიტუაციები დაიმზირება თეორ ჯუჯა ვარსკვლავებში.

### გამოქვეყნდა სტატია:

**N.L. Shatashvili, S.M. Mahajan and V.I. Berezhiani.** *Mechanisms for Multi-Scale Structures in Dense Degenerate Astrophysical Plasmas.* *Astrophys. Space Sci.* **361:70**, 10 pages (2016). DOI: [10.1007/s10509-016-2663-x](https://doi.org/10.1007/s10509-016-2663-x)

- (ი) შეისწავლება ელექტრომაგნიტური კონების თვით-ჩაჭერილი გავრცელება სრულიად გადაგვარებულ რელატივისტურ ელექტრონ-პოზიტრონულ პლაზმაში ჰიდროდინამიკური-მაქსველის მოდელის გამოყენებით; ნაჩვენებია, რომ ასეთი კონების დინამიკა შეიძლება აღიწეროს განზოგადოებული შრედინგერის განტოლებით სპეციფიური გაჯერებადი არაწრფივობით. ნაჩვენებია რადიალურად სიმეტრიული ლოკალიზებული განმხოლოებული სტრუქტურების არსებობა. ნაპოვნია, რომ მდგრადი 2-განზომილებიანი სოლიტონული სტრუქტურები არსებობენ გადაგვარების ნებისმიერი დონისას. ნაპოვნია თვით-წარმართვადი გავრცელების კრიტიკული სიმძლავრე. ამ კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნან ასტროფიზიკური გამა-სხივების წყაროების გამოსხივების ასახსნელად, ასევე სასარგებლო იქნება მომავლის ლაბორატორიული ექსპერიმენტების დიზაინისათვის.

### გამოქვეყნდა სტატია:

**V.I. Berezhiani, N.L. Shatashvili.** *Self-guiding of electromagnetic beams in degenerate relativistic electron-positron plasma.* *Phys. Plasmas* **23(10)**, 104502 (2016). DOI: [10.1063/1.4964914](https://doi.org/10.1063/1.4964914)

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	მაგნიტო- ჰიდროდინამიკური ბმები და რხევები ვარსკვლავების ატმოსფეროში <b>ფიზიკა-ასტროფიზიკა</b>	ნანა შათაშვილი ალექსანდრე თევზაძე	ნანა შათაშვილი ალექსანდრე თევზაძე ელენე უჩავა დავით ხუციშვილი ალექსანდრე ბარნაველი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის მირითადი თეორიული  
და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

(ი) შემოთავაზებულია დინების გენერირების მექანიზმი გადაგვარებულ  
ვარსკვლავთა ატმოსფეროებში, როდესაც კლექტრონები გადაგვარებულია და  
იონები კი ჩათვლილია კლასიკურად. ნაპოვნია, რომ სისტემაში არის  
კატასტროფა - ადგილი აქვს სწრაფი დინების გენერირებას მაგნეტო-სითხეული  
ბმების გამო. მანძილი, რომელზეც ადგილი აქვს მნიშვნელოვან აჩქარებას, განისაზღვრება გრავიტაციის სიძლიერითა და გადაგვარების პარამეტრით.  
შედეგები მოიცავს: დინების ფორმირებისა და აჩქარებისათვის ხელსაყრელი  
ფიზიკური პარამეტრების დიაპაზონების მოძიება; ზე-ალფენური დინების  
გენერირება; სისტემის სპეციფიური პარამეტრების რეჟიმში დინების აჩქარებისა  
და მაგნიტური ველის გაძლიერების ერთდროული შესაძლებლობა; კონკრეტულ  
პირობებში საწყისი დინება შესაძლებელია აჩქარდეს 10-30-ჯერ რასაც  
მივყავართ ტრანზიენტული ჯეტების ფორმირებისაკენ; ნაპოვნია მაგნიტური  
ველების გაძლიერებისათვის საჭირო პარამეტრების დიაპაზონები. იგეგმება  
კვლევების გაგრძელება ისეთი სიტუაციებისათვის, როდესაც გვაქვს მცირე  
მინარევი განსხვავებული ტიპის კლასიკური მოძრავი იონებისა.

### დასრულდა სტატიის გაფორმება გამოსაქვეყნებლად:

**A.A. Barnaveli, N.L. Shatashvili.** Mechanism for Flow Generation / Acceleration in Dense Degenerate Stellar Atmospheres. *Astrophys. Space Sci.* (prepared for the submission).

(იი) შესწავლილია ანიზოტროპული მაგნიტოპიდროდინამიკური არამდგრადობები  
ძლიერად დამაგნიტებული წანაცვლებითი დინებიში. უკუმშვადი სითხის  
მიახლოებაში ნაჩვენებია წანაცვლებითი დინების შლანგური არამდგრადობის  
თვისებები სითბური ნაკადების გათვალისწინებით. ანალიზურად მიღებულია  
არამდგრადობის ზრდის ინკრიმენტი და მდგრადობის არის არაიზოთერმული  
შესწორებები. ნაპოვნია პარამეტრების არე, სადაც შესაძლებელია  
ანიზოტროპული ვასრკვლავური ქარების ფორმირება დაბალი სიმკრივის  
ანიზოტროპულ გარემოში სუსტი მაგნიტური ველის პირობებში.

### მზადდება სტატია:

**E. S. Uchava, A. G. Tevzadze, B. M. Shergelashvili, S. Poedts.** „Velocity shear effects on the Firehose instability with anisotropic heat fluxes“. *Phys. Plasmas* (in preparation).

(იიი) გაგრძელდა ქრომესფერული სპიკულების დოპლერის სიჩქარების და ნახევარ  
სიგანეების დროში ცვლილების შესწავლა აბასთუმნის ასტროფიზიკურ  
ოსერვატორიის 53-სანტიმეტრიანი კორონოგრაფის საშუალებით. შესწავლილია  
სერია სპიკულების სპექტროგრამები მზის ქრომოსფეროში 7500 კმ სიმაღლეზე.

ძირითადი შედეგებია: შეინიშება დოპლერის სიჩქარეებისა და ნახევარსიგანეების დროის მიხედვით ცვლილების ასიმეტრია; დოპლერის სიჩქარის სიდიდის ზრდისას მცირდება ნახევარსიგანეების სიდიდე და პირიქით; მზის კიდიდან 7500კმ სიმაღლეზე დოპლერის სიჩქარეების რხევის პერიოდები არის 13წთ, 8,4წთ, 12.8წთ, 7წთ, 6,7წთ ხოლო ნახევარსიგანეების რხევის პერიოდები არის 12წთ, 3.2წთ, 11.9წთ, 7.2წთ, 6.7წთ შესაბამისად; დოპლერის სიჩქარის რხევის პერიოდები საშუალოდ იცვლება 6-13წთ. შუალედში, ხოლო ნახევარსიგანის რხევის პერიოდები საშუალოდ იცვლება 6-12წთ შუალედში; მზის კიდიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად დოპლერის სიჩქარეების რხევის პერიოდების ცვლილების დიაპაზონი მატულობს. ნაჩვენებია სპიკულების დოპლერის სიჩქარეების და ნახევარსიგანეების პერიოდულობის დროში ცვლილების ანტიკორელაცია.

**მომზადებულია სტატია გამოსაქვეყნებლად „ჟურნალ-ში „სტრონომე & სტროპჰისიცს”.**

**Khutsishvili, D., Zaqrashvili, T.V., Khutsishvili, E., Kvernadze, T., Kulidzhanishvili, V., Kakhiani, V. And Sikharulidze, M. Anticorrelation between changes of  $H$  spectral line FWHM and Doppler velocities. A&A (to be submitted).**

**განხორციელდა მივლინება ავსტრიაში არლ- რანზენს- ნივერსიტ ტ რაზ (5.06.2016 – 18.07.2016).**

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	კოსმოსური მაგნიტური ველების და ტურბულენტობის მოდელირება <b>ფიზიკა - ასტროფიზიკა</b>	ალექსანდრე თევზაძე	ალექსანდრე თევზაძე

**დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული  
შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

შესწავლითა მაგნიტური ველის ევოლუცია დამაგნიტულებული ტურბულენტობის მიღევის ფაზაში სამყაროს გაფართოებისას. რიცხვითი მოდელირებისათვის გამოყენებულია პირდაპირი რიცხვითი თვლის კოდი PENCIL, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია როგორც კლასიკური, ასევე რელატივისტური ჰიდროდინამიკის მოდელირება გამოსხივების ეფექტების გათვალისწინებით. რიცხვითი მოდელირების საშუალებით გამოკვლეულია ის კანონზომიერებები, რომელსაც ემორჩილება ტურბულენტობის სპექტრი სპირალური და ნაწილობრივად სპირალური მაგნიტური ველის შემთხვევაში. როგორც ჩანს, ევოლუცია დამოკიდებულია მაგნიტური ველის წყაროს თვისებებზე - ამ შემთხვევაში შესაძლებელია მაგნეტოგენეზის სხვადასხვა მოდელების გამოკვლევა.

**გამოქვეყნდა სტატია:**

**T. Kahnishvili, A. Brandenburg, A. G. Tevzadze. The evolution of primordial magnetic fields since their generation *Physica Scripta.* 91, 104008 (2016).**

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	ასტროფიზიკური დისკების მდგრადობა და სტრუქტურების ფორმირება პროტოპლანეტარულ და გალაქტიკურ მასშტაბებზე ფიზიკა - ასტროფიზიკა	ალექსანდრე თევზაძე	ალექსანდრე თევზაძე ლუკა პონიატოვსკი სალომე მჭედლიძე
<p>დასრულებული პროექტის მირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>შესწავლილია ბლანტი ჰიდროდინამიკური დინებების წრფივი მდგრადობა და სტრუქტურების ფორმირება გრანულარულ დიფერენციალურად მბრუნავ დინებებში. ამ კლასის დინებებს მიეკუთხვება პროტოპლანეტარული დისკების დინებები პლანეტების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებზე და გიგანტი პლანეტების ირგვლივ არსებული მკვრივი პლანეტარული რგოლები. გრანულარული დინების შესასწავლად გამოყენებულია უკუმშვადი სითხის მიახლოება რეოლოგიური სიბლანტის გათვალისწინებით, სადას ხითხის გრანულარული სიბლანტე მატულობს სიჩქარის წანაცვლების კლებით და გარემოს წნევის მატებით. გამოყენებულია ლოკალური მიახლოება, რომლის ფარგლებშიც უგულვებელყოფთ დინების სიმრუდეს, მაგრამ ვინარჩუნებთ კორიოლისის ძალისა და სიბლანტის ძალის ზეგავლენას. ამ მიახლოებაში გამოყვანილია ცნობილი ბლანტი არამდრგადობა, რომელიც გამოწვეულია სიბლანტის კოეფიციენტის სიმკვრივეზე დამოკიდებულებით. მიღებულმა ფორმალიზმმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ახალი ტიპის რეოლოგიური არამდგრადობა რომელმაც შეიძლება გამოიწვის სპირალური ტალღების ზრდა და პროტოპლანეტარული დისკის ფაგმენტაცია ამ არებში, სადაც გრანულარული დისკის სიმკვრივე გადააჭარდებს გარკვეულ ზღვრულ მნიშვნელობას და დინება კინეტიკური რეჟიმიდან გადავა ე.წ. „გრანულარული სითხის“ რეჟიმში.</p> <p>შესწავლილია გალაქტიკური დისკის მდგრადობა და ვარსკვლავთწარმოშობის პროცესის თვისებები ჯინსის არამდგრადობის ფარგლებში ფარული მასის გათვალისწინებით. ნაჩვენებია გარეშე ასიმეტრიული პოტენციალის ზემოქმედება ჯინსის არამდგრადობის კრიტერიუმზე. ამოხსნილია შებრულებული ამოცანა, როდესაც ვარსკვლავების მასების განაწილების სტატისტიკიდან შესაძლებელია ფარული მასის გალაქტიკური ჰალოს ასიმეტრიის თვისებების დადგენა.</p> <p><b>მზადდება სტატია:</b> <b>L. Poniatowski, A. G. Tevzadze. Local viscous shear instability in differentially rotating granular flows. Physical Review E (<i>in preparation</i>)</b></p>			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)

Nº	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	<p>მაგნიტური ველები სამყაროში: წარმოშობა, ევოლუცია და დაკვირვებითი გამოვლინებები</p> <p>მიმართულება: <b>ფიზიკა - ასტროფიზიკა</b></p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p> <p><b>FR/264/6-350/14</b></p>	<p>ალექსანდრე თევზაძე (თანამონაწილე ორგანიზაციის მხრიდან, თსუ)</p>	<p>ალექსანდრე თევზაძე (თანამონაწილე ორგანიზაციის მხრიდან, თსუ)</p>

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამყაროს დიდმასშტაბოვან სტრუქტურაზე მაგნიტური ველის ანაბეჭდების შესასწავლად გაანალიზებულია მჰდ ტურბულენტობის ევოლუცია ინფლაციური პერიოდის განმავლობაში. ჩატარებულია არაწრფივი კუმშვადი მაგნიტოპიდროდინამიკური სისტემის პირდაპირი რიცხვითი მოდელირება. ინფლაციის პერიოდში მიმდინარეობს ტურბულენტობის და მაგნიტური ველის მასშტაბების ექსპონენციალური ზრდა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მაგნიტური ველის ენერგიის გადატანას დიდი მასშტაბზე, სადაც მიმდინარეობს გალაქტიკების და კლასტერების ჩამოყალიბება.

გამოქვეყნდა სტატია:

T. Kahniashvili, A. Brandenburg, **A. G. Tevzadze**. *The evolution of primordial magnetic fields since their generation Physica Scripta.* 91, 104008 (2016).

## II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

Nº	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელმწიფოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

### კრებულები

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

### სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე					

### II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

### მონოგრაფიები

Nº	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

### სახელმძღვანელოები

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

### კრებულები

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

## სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	<b>N.L. Shatashvili,</b> V.I. Berezhiani and S.M. Mahajan	<i>Mechanisms for multi-scale structures in dense degenerate astrophysical plasmas.</i>  <i>Astrophysics and Space Science</i> , <b>361:70</b> (2016)	<b>361:70</b> (2016) DOI: <a href="https://doi.org/10.1007/s10509-016-2663-x">10.1007/s10509-016-2663-x</a>	პოლანდია SPRINGER	10

## ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

Two distinct routes lead to the creation of multi-scale equilibrium structures in dense degenerate plasmas, often met in astrophysical conditions. By analyzing an e-p-i plasma consisting of degenerate electrons and positrons with a small contamination of mobile classical ions, we show the creation of a new macro scale  $L_{macro}$  (controlled by ion concentration). The temperature and degeneracy enhancement effective inertia of bulk e-p components also makes the effective skin depths larger (much larger) than the standard skin depth. The emergence of these intermediate and macro scales lends immense richness to the process of structure formation, and vastly increases the channels for energy transformations. The possible role played by this mechanism in explaining the existence of large-scale structures in astrophysical objects with degenerate plasmas, is examined.

მავრივ გადაგვარებულ პლაზმებში, რომლებიც ხშირად გვხდება ასტროფიზიკურ პირობებში, მრავალ-მასშტაბური წონასწორული სტრუქტურების ფორმირებისაკენ 2 კონკრეტულ გზას მივყავართ. ე-პ-ი პლაზმის (შედგება გადაგვარებული ელექტრონებისა და პოზიტრონებისაგან მოძრავი კლასიკური იონების მცირე მინარევით) შესწავლის შედეგად ჩვენ ვაჩვენეთ ახალი მაკრო მასშტაბის  $L_{macro}$  ფორმირება (იგი კონტროლდება იონების კონცენტრაციით). ძირითადი ე-პ კომპონენტების ტემპერატურული და გადაგვარებითი ეფექტური ინერციის ზრდა ასევე იძლევა ეფექტური სკინ-სიღრმეების ზრდის საშუალებას - ისინი დიდი (საგრძნობლად დიდი) ხდებიან სტანდარტულ სკინ-სიღრმეებთან შედარებით. ამ შუალედური და მაკრო მასშტაბების აღმოცენება ხსნის სტრუქტურათა ფორმირებაში დიდ მრავალფეროვნებას, და ასევე აფაროვებს ენერგიის ტრანსფორმაციების არხების ჩამონათვალს. გამოკვლეულია ამ მექანიზმის შესაძლებელი როლი, რომელიც ახსნიდა დიდ-მასშტაბიანი სტრუქტურების არსებობას ასტროფიზიკური ობიექტების გადაგვარებულ პლაზმებში.

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	V.I. Berezhiani, <b>N.L. Shatashvili</b>	<i>Self-guiding of electromagnetic beams in degenerate relativistic electron- positron plasma.</i>  <i>Physics of Plasmas</i> , <b>23(10)</b> , 104502 (2016)	<b>23(10)</b> , 104502 (2016) DOI: <a href="https://doi.org/10.1063/1.4964914">10.1063/1.4964914</a>	US AIP	4

## ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

The possibility of self-trapped propagation of electromagnetic beams in the fully degenerate relativistic electron-positron plasma has been studied applying the Fluid-Maxwell model; it is shown that dynamics of such beams can be described by the generalized nonlinear Schrödinger equation with specific type of saturating nonlinearity. Existence of radially symmetric localized solitary structures is demonstrated. It is found that stable solitary structures exist for the arbitrary level of degeneracy.

შეისწავლება ელექტრომაგნიტური კონების თვით-ჩაჭერილი გავრცელება სრულიად გადაგვარებულ რელატივისტურ ელექტრონ-პოზიტრონულ პლაზმაში ჰიდროდინამიკური-მაქსველის მოდელის გამოყენებით; ნაჩვენებია, რომ ასეთი კონების დინამიკა შეიძლება აღიწეროს განზოგადობებული შრედინგერის განტოლებით სპეციფიური გაჯერებადი არაწრფივობით. ნაჩვენებია რადიალურად სიმეტრიული ლოკალურებული განმხოლობებული სტრუქტურების არსებობა. ნაპოვნია, რომ მდგრადი სოლიტონული სტრუქტურები არსებობენ გადაგვარების ნებისმიერი დონისას.

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	T. Kahnashvili, A. Brandenburg <b>A. G. Tevzadze</b>	The evolution of primordial magnetic fields since their generation Physica Scripta	<b>91</b> , 104008 (2016)	Royal Swedish Academy of Sciences, შვედეთი	14

### კრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

We study the evolution of primordial magnetic fields in an expanding cosmic plasma. For this purpose we present a comprehensive theoretical model to consider the evolution of MHD turbulence that can be used over a wide range of physical conditions, including cosmological and astrophysical applications. We model different types of decaying cosmic MHD turbulence in the expanding Universe and characterize the large-scale magnetic fields in such a medium. Direct numerical simulations of freely decaying MHD turbulence are performed for different magnetogenesis scenarios: magnetic fields generated during cosmic inflation as well as electroweak and QCD phase transitions in the early Universe. Magnetic fields and fluid motions are strongly coupled due to the high Reynolds number in the early Universe. Hence, we abandon the simple adiabatic dilution model to estimate magnetic field amplitudes in the expanding Universe and include turbulent mixing effects on the large-scale magnetic field evolution. Numerical simulations have been carried out for non-helical and helical magnetic field configurations. The numerical results show the possibility of inverse transfer of energy in magnetically dominated non-helical MHD turbulence. On the other hand, decay properties of helical turbulence depend on whether the turbulent magnetic field is in a weakly or a fully helical state. Our results show that primordial magnetic fields can be considered as a seed for the observed large-scale magnetic fields in galaxies and clusters. Bounds on the magnetic field strength are obtained and are consistent with the upper and lower limits set by observations of extragalactic magnetic fields.

შესწავლითა პირველადი კოსმოლოგიური ველის ევოლუცია გაფართოებად სამყაროში. ამისათვის შემუშავებულია მაგნიტოდიდროდინამიკური ტურბულენციონული განვითარების თეორიული მოდელი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ასტროფიზიკურ და კოსმოლოგიურ მასშტაბებზე. ჩატარებლია სხვადასხვა ტიპის მდგ ტურბულენციონული მილევის პროცესის მოდელირება გაფართოებად სამყაროში და დიდმასშტაბოვანი ველების გენერაცია ამ ტიპის გარემოში. პირდაპირი რიცხვითი მოდელირება ჩატარებულია მაგნეტოგენეზის სხვადასხვა სცენარებისათვის: მათ შორისაა მაგნიტური ველები, რომლებიც ჩნდებიან ინფლაციისას და მოგვიანებით ელექტროსუსტი და კვანტურ-ქრომოდინამიკური ფაზური გადასვლებისას. ყველა შემთხვევაში მაგნიტური ველი და სითხის მოძრაობა ერთმანეთთან ძლიერადაა

გადაბმული სამყაროს რეინოლდსის რიცხვის სიდიდის გამო. ამიტომაც, ჩვენ უარს ვამბობთ მაგნიტრი ველის ადიაბატრი მიღევის მექანიზმზე და ვსწავლობთ დიდმასშტაბოვანი ველების გენერაციას ტურბულენტური პროცესების გათვალისწინებით. რიცხვითი მოდელირება ჩატარებულია სიპრალრი და არასპირალრი ველებისათვის. რიცხვითი თვლები გვიჩვენებენ, რომ შესაძლებელია ენერგიის გადატანა დიდი მასშტაბებისაკენ, ე.წ. შებრუნებული ტრანსფერი, როდესაც ტურბულენტობის საექტრში დომინირებს მაგნიტური ენერგია. მიღებული შედეგები გვიჩვენებენ, რომ კოსმოლოგიურ მაგნიტურ ველებს შეუძლიათ ჩანასახობრივი ველების როლის შესრულება გალაქტიკური და გალაქტიკების გროვების ველებისათვის. მიღებული შეზღუდვები გალაქტიკურ მაგნიტურ ველებზე შესაბამისობაშია დაკვირვებით მონაცემებთან.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანა შათაშვილი, ს.ძ. მაჟარანი, ვ.ი. ბერეჟიანი	მრავალ-მასშტაბიანი სტრუქტურების მექანიზმები მკვრივ გადაგვარებულ ასტროფიზიკურ პლაზმებში	<a href="http://conference.ens-2016.tsu.ge/page/program/50">http://conference.ens-2016.tsu.ge/page/program/50</a>

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

კვანტური მექანიკის აპარატის ყველა მოთხოვნას (ნორმირებადობა, ორთოგონალურობა, ნორმის დროზე დამოუკიდებლობა და ა.შ.) აკმაყოფილებები. ასეთი ამოხსნის (პიდრინო, მცირე წყალბადი) დაკვირვება მნიშვნელოვანი იქნებოდა სხვადასხვა ახალი ფიზიკური მოვლენის დამზერისათვის. მოხსენებაში განიხილება იგივე ამოცანა  $\frac{1}{2}$  -სპინიანი ნაწილაკისთვის (ელექტრონი) დირაკის განტოლების ფარგლებში. ნაჩვენებია, რომ სათავეში სინგულარული ასიმპტოტიკის მქონე ამონასნი მართლაც არსებობს, ოღონდ სინგულარობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე უსპინო შემთხვევაში. ამის გამო ადგილი აღარ აქვს აღბათობის (ნორმის) დროზე დამოუკიდებლობას, აგრეთვე არ სრულდება ორთოგონალურობის პირობა, თუმცა სრული აღბათობა სასრულოა მოდელის პარამეტრების გარკვეულ არეში. ამის გამო, დასკვნის სახით ვთვლით, რომ დირაკის განტოლებაში დამატებითი ამოხსნა უნდა უგულვებელვყოთ და დავკმაყოფილდეთ ნორმალური (სტანდარტული) ამონასნით. დამატებითი მდგომარეობების არსებობის საკითხი განიხილება პროგას განტოლებაშიც

### ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ციციშვილი	Topological phases of Su-Schrieffer-Heeger model with four-fold alternated hoppings	თეორიული ფიზიკის რეგიონალური სასწავლი ცენტრის სესია, ერევანი, 24 აგვისტო 2016.
2	მერაბ გოგბერაშვილი	Black Hole Lensing and Wave Bursts	ერევანი, სექტემბერი 2016
<ol style="list-style-type: none"> <li>აგებულია მჭიდრო ბმის ერთგანზომილებიანი მოდელი კვანძთაშორის გადასვლების ოთხჯერადი არაერთგვაროვნებით. გამოთვლილია ენერგიების სპექტრი ლრენტია გახსნა-დახურვის პირობები. ცხადი სახით არის აგებული ერთნაწილაკოვანი ჰამილტონიანის საკუთარი მდგომარეობები და მიღებული ბერის ბმულობის გამოსახულება. აპოვნია, რომ ტოპოლოგიური მახასიათებლის მისაღებად აუცილებელია ოთხი ენერგეტიკული დონიდან ორი უმდაბლესი დონის წვლილის გათვალისწინება და აგებულია შესაბამისი ფაზური დიაგრამები.</li> <li>განხილულია ვარაუდი, რომ კოსმოსური წარმოშობის ძლიერი სიგნალები (გრავიტაციული ტალღები, გამა და რადიო ავეთქებები) შესაძლოა აიხსნას სამყაროში არსებული შავი ხვრელების მიერ სხივების გაძლიერებით ძლიერი ლინზირებისას.</li> </ol>			

## კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრა, კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

; სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება,  
ლაბორატორია) დასახელება:

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

ფიზიკის დეპარტამენტი. კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრა,  
კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

\* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე  
შენგელაძა

; სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ალექსანდრე შენგელაძა - პროფესორი  
ამირან ბიბილაშვილი - ასოცირებული როფესორი  
თამარ ჭელიძე - ასოცირებული პროფესორი  
დიმიტრი დარასელია - ლაბორატორიის გამგე  
დავით ჯაფარიძე - უფროსი ლაბორანტი  
ზურაბ ჯიბუტი - ლაბორანტი  
გრიგოლ მამნიაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი  
ოლღა რომელაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი  
თორნიკე გაგნიძე - დოქტორანტი  
ზურაბ ეუშიტაშვილი - დოქტორანტი

**III. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები  
(ესება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანობაცია (ქართულ ენაზე)			

**III. 2.**

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე  
სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)

Nº	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებული ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ექსიტონური კომპლექსები ZnO და Ga N-ში - ლურჯი- ულტრააიისფერი სინათლის გამომსხივებელი ხელსაწყ- ოების შექმნის პერსპექ- ტივები / საბ. მეცნ, ფიზიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თამარ ჭელიძე	თამაზ კერესელიძე, ზაალ მაჭავარიანი, ბექა ბოჭორიშვილი, მაგდა ცინცაძე

ნანოსტრუქტურები, ანუ კვანტური სტრუქტურები, განისაზღვრება როგორც სტრუქტურები, რომელთა ერთი განზომილება მაინც არის 1 - 100 ნანომეტრ დიაპაზონში. განსაკუთრებული თვისებებისა და მოცულობით კრისტალებთან შედარებით გამოყენების მეტი შესაძლებლობების გამო, მათ მიმართ ინტერსი მუდმივად იზრდება. ელექტრონების მოძრაობის კვანტური შეზღუდვა ნანომეტრის ზომის ობიექტების პოტენციურ ორმოში შეიძლება იქცეს მყარსეულოვანი ფუნქციონალური მასალების ელექტრული, ოპტიკური, მაგნიტური და თერმოელექტრული თვისებების მართვის უკეთებები მძლავრ იარაღად. ელექტრული და ოპტიკური თვისებების ზომის და ფორმის ცვლილების საშუალებით მართვის შესაძლებლობა არის ის, რაც ასე მიმზიდველს ხდის ნანოსტრუქტურებს ოპტიკური ელექტრონიკისათვის. თვისებების მართვის ამ ორი ახალი პარამეტრის გაჩენა იმ მთელი რიგი სასურველი თვისებების მიღების საშუალებას იძლევა, რომელთა მიღწევაც მოცულობით კრისტალებში შეუძლებელი იყო.

პროექტის ძირითადი მიზანია იყო ექსიტონური კომპლექსების (ბიესიტონების, ტრიონების) გამოსხივების სპექტრების ზომაზე, ფორმაზე და მასალის განაწილების პროცესზე დამოკიდებულების თავისებურებების გამოკვლევა ZnO-ს და GaN-ის კვანტურ სტრუქტურებში, რათა დაგვედგინა სისტემების ოპტიმალური პარამეტრები (ზომა, ფორმა, შედგენილობა) ლურჯ და ულტრაიისფერ არეში სინათლის გამომსხივებელ ხელსაწყოებში მათი ეფექტური გამოყენების მიზნით.

დაგეგმილი კვლევა მოტივირებული იყო იმ ფაქტით, რომ ექსიტონით და ექსიტონ-ექსიტონური ურთიერთქმედებით გამოწვეული სტრულირებული გამოსხივება ძალზე მნიშვნელოვანია დაბალი ზურბლის მქონე ლაზერების შესაქმნელად, ვინაიდან ის ხორციელდება უფრო დაბალ ზღურბლურ ენერგიებზე ვიდრე რეკომბინაცია

ელექტრონურ-ხვრელურ პლაზმაში. ექსიტონური წარმოშობის სტიმულირებული გამოსხივების დემონსტრირება გვიჩვენებს იმ გზას, რომელსაც მივყავართ  $ZnO$ -ს და  $GaN$ -ის ბაზაზე შექმნილი ლურჯ-იისფერი ლაზერული ღიოდების რეალიზაციამდე-ამიტომ, მუხტის გადამტანი ნაწილაკების ურთიერთქმედების ღრმა გაგება და საბოლოო ჯამში მისი კონტროლი წარმოადგენს იმ განმსაზღვრულ ფაქტორს რომელსაც მივყავართ აღნიშნული ხელსაწყოების წარმატებულ შექმნამდე.

ექსიტონი წარმოადგენს დადებითი და უარყოფითი კვაზინაწილაკების (ელექტრონების და ხვრელების) კულონური ურთიერთქმედებით ბმულ სისტემას დიელექტრიკებსა და ნახევარგამტარებული ბიექსიტონი წარმოადგენს ორი ექსიტონისგან შემდგარ სისტემას, ხოლო სტაბილური ტრიონი შეიძლება იყოს ან დადებითად დამუხტული ორი ხვრელი და ერთი ელექტრონი ან უარყოფითად დამუხტული ორი ელექტრონი და ერთი ხვრელი. გამომდინარე აქვთან, ექსიტონის შესწავლისას გამოიყენება წყალბადის ატომის, ხოლო ბიექსიტონებისა და ტრიონების შესასწავლად წყალბადის მოლეკულისა და წყალბადის მოლეკულური იონის მოდელები. ეს მოდელები დღემდე ინტენსიური კვლევის საგანია, რადგან გამოიყენება ფიზიკის სხვადასხვა დარგებში, როგორიცაა ატომური ფიზიკა, კონდენსირებული გარემოს ფიზიკა, ასტროფიზიკა და სხვ. დაბალგანზომილებიანი სტრუქტურების ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, რომლებსაც კვაზი 0-, კვაზი 1- და კვაზი 2-განზომილებიან სისტემებსაც უწოდებენ, მალე აქტუალური გახდა წყალბადის ატომის, წყალბადის მოლეკულისა და წყალბადის მოლეკულური იონის გამოკვლევა დაბალ განზომილებებში, რადგან ამ კვლევების შედეგები უშუალოდ გამოიყენება დაბალგანზომილებიან სტრუქტურებში ექსიტონებით, ექსიტონური კომპლექსებით, მინარევებთან პრეცენტით, მინარევებით, თვითონ მინარევებით და დეფექტებით განპირობებული ელექტრული და ოპტიკური თვისებების შესწავლაში.

პროექტის ფარგლებში პროექტის მიზნების განსახორციელებლდ დაგეგმილი იყო სხვადასხვა გეომეტრიის მქონე  $ZnO$ -ს და  $GaN$ -ის კვანტურ წერტილებში და კვანტურ დეროებში ექსიტონური კომპლექსების ენერგეტიკული დონეების სტრუქტურის და მათი რადიაციული დაშლის ალბათობების გამოთვლა, ასევე ანიშნული ექსიტონური კომპლექსების რეკომბინაციის დინამიკის შესწავლა და მათი გამოსხივების სპექტრების მოდელირება. კვლევის ფარგლებში არსებული თეორიული მოდელების გამოყენებასთან შემუშავდა ახალი მათემატიკური მიდგომები.

პროექტის ფარგლები ჩატარებული კვლევენის შედეგად გამოვლინდა, რომ სივრცული შეზღუდვა, ანუ ზომითი ეფექტი, საშუალებას იძლევა ფართო დიაპაზონში იმართოს ექსიტონური ეფექტები და ექსიტონური კომპლექსების მახასიათებლები. პროექტი ანგითარებს ცოდნას  $ZnO$ -სა და  $GaN$ -ის კვანტურ წერტილებში/დეროებში ექსიტონური კომპლექსების (ბიექსიტონების, ტრიონების) ელექტრონული სტრუქტურის, დონეთაშორისი დიპოლური გადასვლების, რეკომბინაციის დინამიკისა და გამოსხივების სპექტრების შესახებ და აქვს დიდი ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობა. ერთი მხრივ, პროექტის შედეგები გვაძლევს დაბალგანზომილებიან სისტემებში კულონური ურთიერთქმედების სიღრმისეულ გაგებას და შესაბამისად, მნიშვნელოვან ინფორმაციას ექსიტონური კომპლექსების ელექტრონული სტრუქტურისა და ოპტიკური გადასვლების თავისებურებების შესახებ. მეორეს მხრივ, პროექტის შედეგები ქმნიან  $ZnO$  და  $GaN$  კვანტური სტრუქტურების გამოსხივების თვისებების ასესნისა და მათი წინაშარმეტყველების საფუძველს და შესაძლებლობას გაძლევენ განვსაზღვროთ მათი პრაქტიკული გამოყენების არე. ექსპერიმენტაციებს და ტექნოლოგებს შეუძლიათ პროექტის შედეგების გამოყენება საჭირო გეომეტრიისა და შემადგენლობის შესარჩევად სასურველი ფიზიკური თვისებების მქონე  $ZnO$  და  $GaN$  კვანტური სტრუქტურების მიღებისას. პროექტის შედეგები საინტერესო იქნება უნივერსიტეტებისა და ნახევარგამტარული ოპტიკითა და ტექნოლოგიებით დაკავებული კომპანიებისათვის.

## III. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე- ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანე- ლი	პროექტის შემსრულებლები
	გამჭვირვალე გამტარი ოქსიდების სინთეზი და კვლევა / საბ. მეცნ. ფიზიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ცონდი	ალექსანდრე შენგელაია	დიმიტრი დარასელია დავით ჯაფარიძე თამარ ჭელიძე თორნიკე გაგნიძე ეკატერინე ჩიკოიძე ივ დიუმონი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და  
პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

განხორციელდა  $\text{CuCr}_{1-x}\text{Mg}_x\text{O}_2$  გამჭვირვალე გამტარი ოქსიდების თხელი ფირების სინთეზი და სინთეზის ატმოსფეროს ოპტიმიზაცია. მიღებული ფირების დახასიათება მოხდა რენტგენოდიფრაქციული ანალიზით და მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით. გაიზომა მიღებული ფირების ელექტრული თვისებები. ასევე ჩატარდა ფირების შესწავლა ელექტრონული პარამეტრიზაციის სისტემის (ეპრ) მეთოდით. ფიზიკური თვისებების ოპტიმალური მართვის მიზნით ჩატარებული იქნა თერმოდინამიკური ანალიზი სისტემისთვის  $\text{CuCr}_{1-x}\text{Mg}_x\text{O}_2$  (კრისტალი)- $\text{O}_2$  (გაზი), რომლის საშუალებითაც მიღებული იქნა დეფექტების კონცენტრაციების დამოკიდებულება კომპონენტების წნევაზე გარემომცველ ატმოსფეროში და ტემპერატურაზე.

II. 1. პუბლიკაციები:  
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

Nº	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

სახელმძღვანელოები

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

კრებულები

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

## სტატიები

Nº	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	შურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:  
ბ) უცხოეთში

## მონოგრაფიები

Nº	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

## სახელმძღვანელოები

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

## კრებულები

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

## სტატიები

Nº	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	შურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Z. Guguchia, R. Khasanov, A. Shengelaya, E. Pomjakushina, E.	The simultaneous occurrence of static magnetism and bulk superconductivity in the	მიღებულია დასაბეჭდად ჟურნალში	აშშ ამერიკის ფიზიკის	18

	Morenzoni, A. Amato, H. Keller	stripe phase of La <sub>2-x</sub> Ba <sub>x</sub> CuO <sub>4</sub> ( $x = 0.155, 0.17$ ) under pressure/ Physical Review B	Physical Review B	საზოგადო ება	
2	E.Chikoidze, M.Boshta, M.Gomaa, T.Tchelidze, D.Daraselia, D.Japaridze, A. Shengelaya, Y.Dumont and M. Neumann-Spallart	Control of p-type conduction in Mg doped monophase CuCrO <sub>2</sub> thin layers/ J. Phys. D: Appl. Phys.	Vol.49 (2016) 205107	IOP Publishing	8
3	თამაზ კერესელიძე, თამარ ჭელიძე, თეიმურაზ	Energy spectra of a particle confined in a finite ellipsoidal shaped potential well / „Physica E“	ტომი 81, გვ. 196-204 2016 წელი	ELSEVIER	9

შესწავლით იქნა სტატიკური სტრაიპული მოწესრიგება და ზეგამტარობა La<sub>2-x</sub>Ba<sub>x</sub>CuO<sub>4</sub> ( $0.11 < x < 0.17$ ) შენაერთში მაგნიტური მომენტის გაზომვის და მიუონის სპინის ბრუნვის მეოდის გამოყენებით. ყველა შესწავლით ნიმუშში დამზერილ იქნა სტატიკური სტრაიპული მოწესრიგება. რომ ამ მოწესრიგების ტემპერატურის  $T_{\text{co}}$  მნიშვნელობები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან ბარიუმის ყველა შესწავლით დოპირებისათვის. ორი ნიმუშისთვის ბარიუმის კონცენტრაციით  $x = 0.155$  (LBCO-0.155) და  $x = 0.17$  (LBCO-0.17) შესწავლითი იქნა მაგნიტური და ზეგამტარული თვისებების ცვლილება პიდროსტატიკური წნევის ქვეშ. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც  $T_{\text{co}}$  და  $T_{\text{ci}}$  თითქმის ემთხვევა ერთმანეთს მოღებული წნევის მოედ დიაპაზონში  $0 < p < 2.3$  გიგაპასკალი. ნიმუშში LBCO-0.155 დამზერილ იქნა წნევით გამოწვეული გადასვლა მოუწესრიგებელ მაგნიტურ მდგომარეობაში 1.6 გიგაპასკალ წნევაზე. ეს მაგნიტური მდგომარეობა თანაარსებობს მაღალი ზედენადი სიმკრივის მქონე ზეგამტარობასთან. ნიმუშში LBCO-0.17 წნევის ყველა მნიშვნელობისთვის არსებობს მოუწესრიგებელი მაგნიტური მდგომარეობა. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ მაგნიტური მოწესრიგება და ზეგამტარული დაწყვილება თანაარსებობენ.

La<sub>2-x</sub>Ba<sub>x</sub>CuO<sub>4</sub> შენაერთში, რაც მნიშვნელოვანია სპილენძის ზეგამტარების სტრაიპულ ფაზაში სტატიკური მაგნეტიზმის და ზეგამტარობის რთული ურთიერთქმედების გასარკვევად.

ნაშრომი მიზნად ისახავს გაარკვიოს ხვრელურ გამტარობაზე პასუხისმგებელი ცენტრების ბუნება CuCrO<sub>2</sub> ოქსიდის Mg-ით ლეგირებულ და არალეგირებულ ნიმუშებში ზრდის და ზრდის შემდგომი სითბო-დამუშავების პარამეტრების ოპტიმალური შერჩევისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია ქიმიური გაფრქვევის მეთოდი, რომელიც გამოყენებულია p-ტიპის თხელი ნახევარგამტარული ფენების მისაღებად. დაფენილი ფენები იყო ამორფული. მაღალკრისტალური სუფთა და Mg-ით ლეგირებული CuCrO<sub>2</sub> ფენები, რომლებიც ხასიათდებიან დელაფონსიტის სტრუქტურით, მიღებული იქნა 600°C-960°C ტემპერატურულ დიაპაზონში აზოტის ატმოსფეროში თერმოდამუშავებით. მუხტის მატარებლების და წერტილოვანი დეფექტების კონცენტრაციები გამოთვლილი იქნეა კროგერის კვაზიქიმიური მეთოდის საშუალებით. ამ მეთოდის საშუალებით ნაჩვენები იქნა, რომ ხვრელური გამტარობია შეიძლება მიღებული იქნას ლეგირებულ და არალეგირებულ ნიმუშებში. ექსპერიმენტულად მიღებული იქნა ხვრელური გამტარობა 4%Mg ლეგირების შემთხვევაში  $p \sim 10^{18} \text{ cm}^{-3}$  ხვრელების კონცენტრაციით. ამ ნიმუშებში ელექტრული წინაღბა იყო 1.4 Ω·სმ, ზეებეკის სოფიციენტი +130 μV K<sup>-1</sup> 40 °C-ზე. ლეგენდრო-პარამაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპით Cr<sup>3+</sup> და Cu<sup>2+</sup>-თან ასოცირებული დეფექტები იქნდა შესწავლილი.

ნადარეიშვილი, რომან კეთერაშვილი				
ელიფსონიდური ფორმის სასრული სიღრმის პოტენციალურ ორმოში ჩაჭერილი ნაწილაკისათვის ამოხსნილია შრედინგერის განტოლება სფეროიდალურ კოორდინატთა სისტემაში. ორმოს ზომასა და ფორმაზე დამოკიდებული ენერგეტიკული დონეები და შესაბამისი ტალღური ფუნქციები მიღებულია ცხადი ანალიზური სახით. გამოვლილი ენერგეტიკული დონეები კარგ თვისობრივ და რაოდენობრივ თანხვედრაში არიან შრედინგერის განტოლების რიცხობრივი ამოხსნით მიღებულ შედეგებთან. განხილულია გაწელილი სფეროიდული ფორმის ნაწილიაკების ოპტიკური თვისებები.				

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

#### ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	E. Chikoidze, M. Boshta, Hagar Mohamed, T. Tchelidze, D. Daraselia, D. Japaridze, A. Shengelaya, Y. Dumont, M. Neumann-Spallart	p-type Mg doped CuCrO <sub>2</sub> transparent conducting thin layers	09.10.16 – 13.10.16 კრება, საბერძნეთი
პიროლიზური გაფრქვევის მეთოდით დამზადდა არადოპირებული და მაგნიუმით დოპირებული CuCr <sub>1-x</sub> Mg <sub>x</sub> O <sub>2</sub> გამჭვირვალე გამტარი ოქსიდების ამორფული თხელი ფირები საფირონისა და კვარცის ფუძეშრეებზე 400°C ტემპარატურაზე. დელაფოსიტის ტიპის კრისტალური სტრუქტურა ჩამოყალიბდა ამორფული ფირების აზოტის ატმოსფეროში სითბური გამოწვის შედეგად 600-960°C ტემპერატურის დიაპაზონში. შესწავლილი იქნა მიღებული კრისტალური თხელი ფირების ოპტიკური თვისებები და გაიზომა კუთრი წინადობის ტემპერატურული დამოკიდებულება. ასევე გაიზომა პოლის ეფექტით დენის მატარებლების კონცენტრაცია. ეპრ სპექტროსკოპიის გამოყენებით შესწავლილი იქნა CuCr <sub>1-x</sub> Mg <sub>x</sub> O <sub>2</sub> თხელ ფირებში Cr <sup>3+</sup> და Cu <sup>2+</sup> იონების ეპრ სიგნალები.			
2	E. Chikoidze, M. Boshta, T. Tchelidze, D. Daraselia, D. Japaridze, A. Shengelaya, Y. Dumont, M. Neumann-Spallart	Thermodynamic analyses of point and impurity defect concentrational equilibrium in Cu(I)M(III)O <sub>2</sub> materials	09.10.16 – 13.10.16 კრება, საბერძნეთი
ნაშრომში წარმოდგენილია საკუთარი და მინარევული დეფექტების და მუხტის მატარებლების კონცენტრაციული წონასწორობის თერმოდინამიკური ანალიზი სისტემებისთვის CuM <sub>III</sub> O <sub>2</sub> (კრისტალი): აქცეპტორული დეფექტი-O <sub>2</sub> (გაზი) და სუფთა CuM <sub>III</sub> O <sub>2</sub> (კრისტალი)-O <sub>2</sub> (გაზი). ეს ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ			

დეფექტების/მინარევების და მუხტის მატარებლების კონცენტრაციების დამოკიდებულება ტემპერატურასა და კომპონენტების პარციალურ წნევაზე. გამოთვლები ჩატარებულია  $\text{CuCrO}_2$  კრისტალისთვის კროგერის კვაზიქიმიური განტოლებების მეთოდის გამოყენებით.

არალეგირებული  $\text{CuCrO}_2$  კრისტალისთვის გამოთვლები ჩატარებულია ფიქსირებულ ( $t=900^\circ\text{C}$ ) ტემპერატურაზე. გამოთვლების თანახმად, ამ ტემპერატურაზე უანგბადის პარციალური წნევა, რომელიც უზრუნველყოფს კარგ ხვრელურ გამტარობას, საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, ხვრელური გამტარობის მიღება გართულებულია. თუმცა, კომპენსაციის პირობებში მაინც მოსალოდნელია სუსტი ხვრელური გამტარობა.  $\text{Mg}$ -ით ლეგირებულ ნიმუშებში გამოთვლილია დეფექტების/მინარევების და მუხტის მატარებლების კონცენტრაციების დამოკიდებულება  $\text{Mg}$ -ის კონცენტრაციაზე. დაშვებულია, რომ  $\text{Mg}$ -ის დაბალ კონცენტრაციებზე  $\text{Mg}$ -ის ატომები იკავებენ ძირითადად ქრომის ადგილს კრისტალში და მათი კომპენსაცია ხდება ერთჯერადად დამუხსტული ჯანგბადის ვაკანსიებით, შუალედური კონცენტრაციებისთვის მინარევის კომპენსაცია ხდება ორჯერადად დამუხსტული ჯანგბადის ვაკანსიებით, ხოლო მაღალ კონცენტრაციებზე მინარევის თვითკომპენსაციას აქვს ადგილი. ეს სქემა კარგ თანხვედრაშია ექსპერიმენტულ შედეგებთან. (E. Chikoidze, M. Boshta, T. Tchelidze, D. Daraselia, D. Japaridze, A. Shengelaya, Y. Dumont, M. Neumann-Spallart, *Journal of Physics D: Applied Physics*, 2016).

3	T. Tchelidze, T. Kereslidze, T. NadareiSvili, Z. Machavariani, B. Beradze	Biexcitons and trions in $\text{ZnO}$ quantum structures of first and Secon type and their influence on emission spectra	09.10.16 – 13.10.16 კრეტა, საბერძნეთი
---	---	--	--

$\text{ZnO}$ -ს კვანტურ სტრუქტურებში შესწავლილია ბიექსიტონების და ტრიტონების მდგრმარეობები, გამოთვლილია მათი ბმის ენერგიები სხვადასხვა ზომებისა და ნივთიერების სხვადასხვა განაწილების პროფილისათვის. ნაჩვენებია, შეიძება შეირჩეს კვანტური სტრუქტურის ისეთი ზომა, რომელიც ოპტიმალური იქნება მაქსიმალური გამოსხივების უნარიანობის მისაღებად. გამოთვლები ჩატარებულია პირველი და მეორე გვარის სტრუქტურებისათვის. გამოთვლების თანახმად, პირველი გვარის სტრუქტურებში ოპტიმალურ ზომებზე მოსალოდნელია ბმის ენერგიის მნიშვნელოვანი ზრდა (მოცულობით კრისტალებთან შედარებით).

## მიკრო და ნანოელექტრონიკის ჯგუფი

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები


Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გარდამავალ მეტალ ჰაფნიუმის ზეთხელი ოქსიდური ფირების ბაზაზე სტრუქტურების და ველის ტრან-ზისტორის შექმნა, მათი თვისებებისა და პარამეტრების კვლევა. ფიზიკა; მიკრო და ნანოელექტრონიკა	ა. ბიბილაშვილი	ა. ბიბილაშვილი, ზ. უშიტაშვილი, ზ. ჯიბული

**პროექტის მიზანი:** მაღალხარისხეობაზე თქმილური ფირების ფორმირება და აბალტემპერატურული სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით, შემდგომი მიკრო და ნანოხელსაწყოს შექმნისთვის. სტიმულაცია მიმდინარეობდა პლაზმური ანოდირების პროცესში ულტრაინისფერი სინათლის დასხივებით.

კროკეტის შედეგი: ლიტერატურული მიმოხილვიდან ცხადი გახდა, რომ სხვადასხვა გარდამავალ მეტალთა ოქსიდების, განსაკუთრებით ჰაფნიუმის ოქსიდის, გამოყენება მდნ-ტრანზისტორში ჩამკატებებში დიულექტრიკად იძლევა დიდ ეფექტს. ამიტომ ჰაფნიუმის ოქსიდი მიღებულ იქნა სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ Si-ის ზედაპირის ქიმიური დამუშავების შემდეგ ვაკუუმურ დანადგარში  $P=2\cdot10^{-6}$ მმ.ვტ.წყ წნევაზე, 400K ტემპერატურაზე დაეფინა ელექტრო-სხივური მეთოდით გარდამავალი მეტალი Hf სისქით  $\sim 40$ ნმ. ჩატარდა პლაზმური ანოდირების პროცესი ვაკუუმურ დანადგარში,  $P=2\cdot10^{-2}$ მმ.ვტ.წყ წნევაზე, 473K ტემპერატურაზე, ულტრა იისფერი სინათლის თანხლებით,  $2 \div 0,5$  მა/სზ ფორმირების დენის სიმკვრივით  $8\div 10$  წუთის განმავლობაში. მიღებულ ოქსიდებზე აიგო მეტალ-დიულექტრიკ-ნახევარგამტარ (მდნ) სტრუქტურა და გაიზომა ვოლტ-ფარადული, ვოლტ-ამპერული მახასიათებლები, გამოსვლის მუშაობა, სისქა ხორჯლიანობა და ჩატარდა რენტგენო-სტრუქტურული ანალიზი.

ექსპერიმენტული გამოთვლებით მიიღება შემდეგი პარამეტრები: მუხტი ნახევარგამტარის გამყოფ საზღვარზე  $1,8 \cdot 10^{10} \text{სმ}^{-2}$ ; ინგერსიის ძაბვა  $-0,25 \text{ვ}$ ; სწორი ზონების ძაბვა  $-0,75 \text{ვ}$ ; გამოსვლის მუშაობა  $4,50 \text{ ევ}$ ; დიელექტრიკული მუდმივა  $75$ ; ოქსიდის სისქე  $406\text{მ}$ ; გაუონვის დენი  $\mp 20\text{ვ-ზე } \sim 0$  (ცოომილების ფარგლებში), ანუ ოქსიდის გარღვევის დაძაბულობა  $E > 5 \cdot 10^8 \text{ В/მ}$ ; მაქსიმალური ტევადობა  $50,0 \text{ ჰვ}$  და ხორჯლიანობა  $16 \text{ Å}$ .

შეიქმნა ტრანზისტორის ტექნოლოგიური მარშრუტი (ნახ.1), რომლის ჩამკებებება დიელექტრიკია  $HfO_2$ , მიღებული ზემოთაღნიშნული ტექნოლოგით. მიღებულია ასეთი მარშრუტით ველის მდნ-ტრანზისტორი, რომელშიც არხის სიგრძე  $L=3$  მკმ-ია და სიგანე  $W=42$  მკმ. მისი ვოლტ-ამპერული მახასიათებელი (ვამ) მოცემულია სურათ 1-ზე.



### ნახ.1. გრანზის გორის გეგმვლობიური

ମାର୍ଗପତ୍ର



### სურ.1 მიღებული ტრანზისტორის

358


გამომდენის და ჩამდენის უბნები ფორმირებულია ბორის იონური ლეგირებით: ენერგიით 115 კევ, დოზით  $10^{20}$  სმ<sup>-2</sup>, სიღრმით 2 მკმ. ჩატარდა ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების გაზომვები გვლტ-ამპერული მახასიათებლების საფუძველზე დანადგარ 2-56-ზე. ექსპერიმენტულად განისაზღვრა ისეთი სტატიკური პარამეტრები, როგორიცაა დახრილობა გაჯერების უბანში S, გაძლიერების პოვილიანობა ~ და

არხის შინაგანი წინაღობა  $r_i$ . მიღებულია, რომ  $S = 1,5\text{მსიმ/მმ}$ ;  $\sim = 65\text{s}^2/\text{გ}\cdot\text{წმ}$  და  $r_i = 780$  მმ.

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	გარდამავალ მეტალ ტიტანის ოქსიდური ფენის ბაზაზე მემრისტორის ფორმირების ტექნოლოგიის დამუშავება და კვლევა; ფიზიკა; მიკრო და ნანოელექტრონიკა	ა. ბიბილაშვილი	ა. ბიბილაშვილი, ზ. ყუშიტაშვილი, ზ. ჯიბუტი


თანამედროვე მიკრო და ნანოელექტრონიკის განვითარება ძირითადად განისაზღვრება ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტეგრაციისა და ინფორმაციის ჩაწერის და შენავის სწრაფქმედების დინამიური ზრდით. ამ მხრივ ახალი პერსპექტიული მიმართულები ჩნდება, თუ მათში გამოყენებულ იქნება ახალი ელექტრული პასიური ელემენტი – მემრისტორი. ის ორპოლუსიანი მოწყობილობაა, რომლის ელექტრული წინადობა იცვლება მასში გამავალი მუხტის მიხედვით. მეტალთა შროის ოქსიდური ფირების აქტიური ფენის სიგნალის მახსოვრობის უნარი შეიძლება გამოყენებულ იქნას მემრისტორის მოწყობილობაში. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები მის შესაქმნელად. ის ახლო მომავალში მთლიანად შეცვლის ელექტრონული სქემის ყველა ელემენტს, მახსოვრობის და გადაცემის სისტემებს, შესაძლებელია შეიქმნას ხელოვნური „ინტელექტი“. ამიტომ მათ მიმართ წაყენებულია მკაცრი მოთხოვნები – ის უნდა იყოს: 1) ზეთხელი (5-50 ნმ); 2) სტაბილური დიელექტრიკული შეღწევადობით; 3) მათი მიღების ტემპერატურა უნდა იყოს დაბალი, რომ ისინი იყვნენ უდევექტონი, მინარევების გარეშე და 4) გარე ფაქტორების მიმართ სტაბილური. ამ მხრივ საიმტერესოა ტიტანის ოქსიდები და მოხდა სტრუქტურების მიღება და გამოკვლევა. საფენებად აღებული იყო სილიციუმი, მისი ზედაპირის ქიმიური გასუფთავების შემდეგ ის თავსდებოდა ვაკუუმის დანაღვარში, სადაც ტურბო-მოლეკულური ტუმბოთი მიიღებოდა წნევა  $\sim 10^{-4}$  პა, ტიტანის (99,998% სისუფთავის) მაგნეტრონული გაფრქვევით Ar და O<sub>2</sub>-ის (სხვადასხვა შეფარდებისას) არეში მიიღებოდა TiO<sub>x</sub> (x<2) და TiO<sub>2</sub>. გაიზომა მათი ელექტრო-ფიზიკური და ოპტიკური მახასიათებლები, გაიზომა გაშვების სპექტრები 200 და 1200 ნმ არეში და ჩატარდა რენტგენო-სტრუქტურული ანალიზი. შედეგად მიღებულ იქნა: 1) მუხტი ოქსიდში  $0,8 \cdot 10^{10} \text{სმ}^{-2}$ ; 2) ინვერსიის ძაბვა  $-0,20 \text{ გ}$ ; 3) ბრტყელი ზონის ძაბვა  $-0,80 \text{ გ}$ ; 4) დიელექტრიკული მუდმივა 60; 5) გამოსვლის მუშაობა 5,48 ევ; 6) გაუონვის დენი 20 გ-ზე 12,5 მა/სმ<sup>2</sup>; 7) მაქსიმალური ტევადობა 44,8 პფ; 8) სისქე 40 ნმ; 9) ხორჯლიანობა 34 Å და 54 Å.

ტიტანის სრული და არასრული ოქსიდების მიღებისა და შესწავლის შემდეგ საჭირო შეიქმნა მათი გამოყენება მემრისტორის აქტიურ შრეში და მიღებული მემრისტორის მახასიათებლების გაზომვები. ამისთვის დამზადდა სტრუქტურა, რომლის სახე მოცემულია ნახ. 1-ზე.



ნახ.1. ექსპერიმენტულად მიღებული მემრისტორის სტრუქტურა: 1-სიტანი; 2-W; 3-TiN; 4-TiO<sub>x</sub>(x>2) ან TiO<sub>2</sub>-TiO<sub>x</sub>(x>2); 5-Mo და 6-Al (Mo-Al-ის ფოტოლიტოგრაფიით  
მიღებული Ø40 მკმ-ის წერტილები).

ექსპერიმენტულად მიღებილი მემრისტორების ვამ-ზე გადადებისთვის აღებულ იქნა 82 წერტილი და წერტილებს შორის დაყოვნების დროები იყო 7წ; 10წ და 13წ, ანუ გადადება მოხდა სამ სიხშირეზე. პირველ შეთხევაში, როცა სიხშირე შედარებით მაღალი იყო ვამ-ზე დაიმზირა სწორი ხაზი, ანუ ომური კონტაქტი.



ა)



ბ)

ნახ.2. მემრისტორების აქტიური შრით TiO<sub>x</sub>, x<2 (ა) და TiO<sub>2</sub>-TiO<sub>x</sub> (ბ) ვამ-ები, 82 გადადებული წერტილით, რომელთა შორის დაყოვნების დრო 13 წმ-ია.

ნახ.2-ზე მოყვანილი მემრისტორებისას, როცა აქტიური შრე იყო TiO<sub>x</sub> (ა) დია და ჩაკეტილ მემრისტორის ფარდობა  $R_{ON}/R_{OFF} = 1:100$  და მარყუების სიდიდე 13 (ჩაკეტის) ძაბვაზე  $2 \cdot 10^{-3}$  ა, ხოლო - TiO<sub>2</sub>-TiO<sub>x</sub> (ბ)-ისას  $R_{ON}/R_{OFF} = 1:50$  და მარყუების სიდიდე 23 (ჩაკეტის) ძაბვაზე  $5 \cdot 10^{-5}$  ა.

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ოპტიკური თვისებების გამზომი ორიგინალური ხელსაწყოს „პოლიქრომატორის“ კონსტრუირება და გამოცდა. ფიზიკა; მიკრო და ნანოელექტრონიკა.	ზ. ჯიბუტი	ზ. ჯიბუტი ა. ბიბილაშვილი, ზ. ყუშიტაშვილი,

მიკრო და ნანოელექტრონიკის ტექნოლოგიებით ახალი მასალების მიღებისა და მათ ბაზაზე შექმნილი ხელსაწყოების ფიზიკური თვისებების კვლევაში მნიშვნელოვანია გაზომვის ოპტიკური მეთოდები. რადგანაც ხელსაწყოების და სხვადასხვა ტიპის ელექტრომაგნიტური ტალღების მარეგისტრირებელი სენსორების ფიზიკური თვისებების შესწავლისას ნივთიერებაზე ძლიერი ზემოქმედებისა და სტრუქტურული რდევების გარეშე მიღება საიმედო მონაცემები.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში შექმნილია ნახევარგამტარული მასალების, სტუქტურების და ოპტიკური სენსორების ფიზიკური თვისებების კვლევის ორიგინალური ოპტიკური მეთოდი და ხელსაწყო, რომელსაც „პოლიქრომატორი“ ვუწოდეთ (ფოტო1). კვლევებმა გვიჩვენა, რომ სტრუქტურების ფოტომგრამბიარობის სპექტრალურ დამოკიდებულებაზე, მონოქრომატორის საშუალებით მიღებული ინფორმაცია არ ასახავს იმ რეალობას რომელშიდაც მუშაობს ამ სტრუქტურების ბაზაზე შექმნილი დეტაქტორები.



სურ.1

იგულისხმება ის ფაქტი, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივების სხვადასხვა ტალღის სიგრძეების ერთდროულად ზემოქმედებისას თითოეული ტალღის სიგრძის ეფექტურობა არ აღმოჩნდა არითმეტიკული ჯამი ცალკეული ტალღის სიგრძის ეფექტურობისა. ანუ სხვადასხვა ტალღის სიგრძის მქონე ელექტრომაგნიტური გამოსხივების პაკეტის ზემოქმედებისას სტრუქტურების ფოტომგრანბიარობა არ აღმოჩნდა ამ სპექტრალურ პაკეტში შემავალი და მონოქრომატორზე გადაღებული ფოტომგრანბიარობების არითმეტიკული ჯამის ტოლი. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში ფოტომგრანბიარე სტრუქტურებზე სინათლის ფართო სპექტრით (პაკეტით) დასხივებისას დაიმზირება ფოტომგრანბიარობის შესუსტებაც კი.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ხელსაწყო, „პოლიქრომატორის“ კონსტრუქციაში ჩადებულ იქნა იდეა საკვლევი ობიექტების ფოტომგრანბიარობის შესწავლისას დასხივება განხორციელებულიყო ცალ-ცალკე ულტრაიისფერ, ხილულ და ინფრაწითელ ოპტიკურ დიაპაზონებში ფოტონების ფართოტალღოვანი პაკეტებით – გაზომვების ჩატარება შესაძლებელია ოთახისა და თხევადი აზოტის ტემპერატურებზე.

## I. 2. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ნახევარგამტარებზე მაღალი ხარისხის ოქსიდური ნანოფი- რების ფორმირების დაბალტემ- პერატურული ტექნოლოგიების კვლევა და შემუშავება. ფიზიკა; მიკრო და ნანოელექტრონიკა	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქ. ამირან ბიბილაშვილი	ზ.ყუშიტაშვილი, ზ.ჯიბუტი.

პროექტის ძირითადი ამოცანა იყო მაღალხარისხიანი ოქსიდური ნანოფირების მიღება ახალი, დაბალტემპერატურული ტექნოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს, ჩვენს მიერ შემუშავებულ, სტიმულირებული პლაზმური ანოდირებისა და ფოტონური დასხივების პროცესების ერთობლიობას. თანამედროვე ეტაპზე ექსიდების მიღების სტანდარტული

ტექნოლოგია მაღალტემპერატურულია (~1300K). ამ დროს ხდება მათში არასასურველი მინარევები დიფუზია, ფორიანობის გაზრდა, ხოლო GaAs-ის შემთხვევაში 700K-ს მაღალ ტემპერატურაზე, მისი სტრუქტურის დაშლა და ა.შ., რაც აუარესებს ოქსიდური ფირების და საერთოდ, მათზე შექმნილი ხელსაწყოს პარამეტრებს. ამიტომ, არა მარტო ოქსიდების სახეა მნიშვნელოვანი, არამედ მათი მიღების ტემპერატურის შემცირებაა გადამწყვეტი მაღალხარისხოვანი მიკრო და ნანო ხელსაწყოების მიღებისთვის.

GaAs-ზე სტანდარტული პლაზმური ანოდირება მაღალხარისხიანი საკუთარი ოქსიდური ფირის მიღებას ვერ უზრუნველყოფს, რადგან მისი ეპიტაქსიური ფენა ყოველთვის შეიცავს სხვადასხვა წინაღობის მქონე ჩანართებს და ანოდირებისას ისინი სხვადასხვა სიდიდის დენს ატარებენ. შესაბამისად, მიღებული ფირი სისქის მიხედვით არათანაბარია.

პროექტის ძირითადი მიზანი იყო ისეთი დაბალტემპერატურული ტექნოლოგიების შემუშავება და კვლევა, რომ მიღებულ ყოფილიყო მაღალხარისხიანი ფირები: 1) სილიციუმის საფენზე საკუთარი ოქსიდური ( $\text{SiO}_2$ ) და  $\text{Al}_2\text{O}_3$ -ის ფირები; 2) გალიუმის არსენიდზე საკუთარი ოქსიდური ( $x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3$ ) ფირები და 3) მიკრო და ნანო ხელსაწყოებისთვის უაღრესად პერსპექტიული გარდამავალ მეტალთა – Ti-სა და Hf-ის ზეთხელი ოქსიდური ფირები.

პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები:

1. შემუშავებულია ნახევარგამტარების ( $\text{Si}$ ,  $\text{GaAs}$ ) და მეტალების (Al, Ti, Hf) საკუთარი ოქსიდების მიღების დაბალტემპერატურული სტიმულირებული პლაზმური ანოდირების მეთოდები;

2. კატალიზური პლაზმური ანოდირების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, წინასწარ ქიმიურად გასუფთავებულ დასაუანგი ნივთიერების ზედაპირს, ვაკუუმში ეფინება იშვიათმიწათა მეტალი – Y, როგორც კატალიზატორი, რომელიც ოქსიდური ფირების ფორმირების ტემპერატურას ამცირებს 1300K-დან 600K-მდე და პროცესის ეფექტურობას ზრდის ორი რიგით;

3.  $\text{GaAs}$ -ზე ოქსიდური ფირების პლაზმური ანოდირების ფორმირების პროცესში ულტრა იისფერი სინათლით დასხივებისას ოქსიდური ფირის ზრდის სიჩქარე იზრდება ~4–ჯერ და სისქე თანაბრდება ~95%-ით;

4. შემუშავებულია დაბალტემპერატურული სტიმულირებული პლაზმური ანოდირების პროცესების მექანიზმები, რომლებიც ეყრდნობან:

ა) კატალიზური პლაზმური ანოდირებისას – კატალიზატორის შეუვსებელ შიგა შრეების თავისებურებას, რაც იწვევს ფორმირების საერთო დენში ელექტრული დენის წვლილის შემცირებას და მის ელექტროუარყოფითობის დაბალ მნიშვნელობას დასაუანგთან შედარებით, რის გამოც დასაუანგი მასალის ატომი ჟანგბადს ადვილად ართმევს კატალიზატორს და

ბ)  $\text{GaAs}$ -ზე ოქსიდური ფირების ფორმირების პროცესში ულტრაიისფერი სინათლით დასხივებას  $\text{GaAs}$ -ის ატომებთა შორისო ბმის გაწყვეტას, გამოწვეულს ელექტრონების გადაყვანით დამაკავშირებელი ზონიდან ანტიდამაკავშირებელ ზონაში, რაც აადვილებს კათონების მიგრაციის პროცესს;

5. განისაზღვრა ოქსიდების ფორმირების ექსპერიმენტული პირობები ნიმუშის ტემპერატურისა და ფორმირების დენის სიმკვრივის ოპტიმალური მნიშვნელობათა დადგენისას;

6. მიღებული ფირების პარამეტრების ექსპერიმენტულმა გაზომვებმა აჩვენეს, რომ ისინი მაღალხარისხოვანი მასალებია და ვიძლევით რეკომენდაციას მათი გამოყენების მიზნით მიკრო და ნანოელექტრონიკაში. კერძოდ, მიზანშეწონილია ყველა მიღებული ოქსიდების გამოყენება ველის ტრანზისტორებში ჩამკეტვეშა ოქსიდებად და ერთელექტრონიან ტრანზისტორებში ელექტრულ ჯებირებად, ხოლო გარდამავალ

მეტალთა (Ti და Hf) ოქსიდები ნანოელექტრონიკაში ახალი ელემენტის – მემრისტორის შესაქმნელად.

## IV. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	თანამედროვე, ნანო-ზომის მულტიფეროიდული მასალების სინთეზი და შესწავლა, სპინგრონიკის-თვის. ფიზიკა; მიკრო და ნანოელექტრონიკა	უკრ. სამეცნ. ტექნიკური ცენტრი; პროექტი #6198	ზ.ჯიბუტი	დ. ჯაფარიძე, დ.დარასელი

**I ეტაპი:** არსებული ულტრაიისფერი + ჰალოგენური ფოტონური დასხივების მოწყობილობის შეთავსება პროექტით გათვალისწინებული სპეციფიკური კვლევითი ამოცანების გადასა-წყვეტად. იმპულსურ ფოტონური დასხივების დანადგარის (იფდდ) კონსტრუირება განხორციელდა ისე, რომ, რომ შესაძლებელი გახდა: 1) ნიმუშების დასხივება ერთდროულად ორივე მხრიდან; 2) დასხივების სპექტრის ცვლა ( $0,2 - 4,1 \mu\text{m}$ ) და 3) დასხივების ხანგრძლივობის და ინტენსივობის (ენერგიის) რეგულირება. იფდდ შედგება 1. გამოსხივების ბლოკისგან, სადაც დამონტაჟდა: а) სამი ჰალოგენური ნათურა – შესაძლებელია უწყვეტად შეიცვალოს დასხივების სიმძლავრის სიმკვრივე  $6\text{W} / \text{სმ}^2$  - მდე და იმპულსის ხანგრძლივობა  $0,1 - დან 1000 \text{ წმ} - მდე 0,1\text{წმ} \text{ ბიჭით}$  ბ) ერთი ვერცხლისწყლიანი ნათურა, რომელიც უწყვეტ რეჟიმში მუშაობს დასხივების სიმძლავრის სიმკვრივის მნიშვნელობაზე  $93 \text{ W}/\text{სმ}^2$ ; 2. ჰალოგენური ნათურების მართვის ბლოკი (KГ 1000 – 2000) და 3. ვერცხლისწყლიანი (UV) ნათურის მართვის ბლოკი (LMP – 400D).

ნიმუშების ტემპერატურის რეგულირება შესაძლებელია დამჭერების დახმარებით, გაცხელებული ჰაერის განდევნით ან თხევადი აზოტის ორთქლის მიწოდებით. გათვალისწინებულია სამუშაოს წარმოება აირის (ჟანგბადი, არგონი, აზოტი) არეში.

II. 2. პუბლიკაციები:  
ბ) უცხოეთში

## სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ურნა- ლის/კრებუ- ლის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	A.Bibilashvili, Z. Kushitashvili	Low Temperature Oxidation of GaAs by UV Stimulated Plasma Anodizing	Earth and Environ-mental Sciece <b>44</b> (2016) 032002, 5p, IOP Publishing; doi:10.1088/1755- 1315/44/3/032002	IOP Publishing	6

განხილულია GaAs-ის საკუთარი ჟანგის მიღების დაბალტემპერატურული ტექნოლოგია პლაზმური ანოდირების პროცესში ულტრაინისფერი სინათლის სტიმულირებით. განსაზღვრულია  $x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3$  საკუთარი ჟანგის ელექტრო-ფიზიკური და ოპტიკური ისეთი პარამეტრები, როგორიცაა: სისქე, გარ-დატების მაჩვენებელი, მუხტი ოქსიდში, ენერგეტიკულ მდგომარეობათა სიმკვრივე GaAs-საკუთარ ჟანგის გამყოფ საზღვარზე, ზედაპირული ხორკლიანობა. ჩატარებულია რენტგენო და ოქს-სპექტროსკოპიები. შემუშავებულია სტიმულირებული პლაზმური ანოდირების მოდელი.

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	A.Bibilashvili, Z. Kushitashvili	C-V Measurement of HfO <sub>2</sub> Dielectric Layer Received by UV Stimulated Plasma Anodizing	Earth and Environ-mental Sciece <b>44</b> (2016) 052008, 6p,IOP Conf. Series; doi:10.1088/1755- 1315/44/5/052008	IOP Publishing	6

მოცემულია უი სინათლით სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით მიღებული HfO<sub>2</sub> ოქსიდური ფირების პარამეტრების კვლევა. ამისათვის გამოყენებულია ვოლტ-ფარადული მახასიათებელი, საიდანაც განისაზოვრა ოქსიდის დიელექტრიკული მუდმივა, ბრტყელი ზონების ძაბვა, ინგერსიის ძაბვა, ეფექტური მუხტი ოქსიდში, ზედაპირულ მდგომარეობათა კონცენტრაცია. გაზომვები ტარდებოდა ნახევარგამტარის პარამეტრების ანალიზატორ Keithley-4200-ზე. ოქსიდის სისქე გაიზომა რეფლექტრომეტრ MprobeVis სისტემაზე. ჩატარდა რენტგენ-სტრუქტურული ანალიზი.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

Nº	მომსსენებელი/ მომსსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	A.Bibilashvili, Z. Kushitashvili, S.Sikharulidze, L.Jangidze	Nanoscale HfO <sub>2</sub> and ZrO <sub>2</sub> Gate Oxides in Field Effect Transistors	4 <sup>th</sup> Internat. Conf. “Nanotechnolgi-es”, October 24-27, 2016, Tbilisi, Georgia, Nano-2016,p.30, abstract

მოცემულია თხელი ოქსიდური HfO<sub>2</sub> და ZrO<sub>2</sub> ფირების მიღება დაბალტემპერატურული პლაზმური ანოდირებით, მთელი პროცესის განმავლობაში ულტრაინისფერი (უი) სინათლის სტიმულაციით, შემდგომი ველის ტრანზისტორის შესაქმნელად. სილიციუმის ზედაპირის ქიმიური გასუფთავების შემდეგ ის თავსდება ვაკუუმურ დანადგარში და

ეფინება ჰაფნიუმის ან ცირკონიუმის მაგნეტრონული გაფრქვევით ჟანგბადისშემცველ პლაზმი, სისქით ~40ნმ. შემდეგ ხდება მიღებული თხელი ფირების დაბალტემპერატურული პლაზმური ანოდირება, რომლის პროცესში ნიმუშები განიცდიდნენ უი სინათლის მოქნედებას, ანუ ხდებოდა უი-თ სტიმულიაცია. მიღებულ სტრუქტურებზე გაიზომა ვოლტ-ფარადული, ვოლტ-ამპერული მახასიათებლები, ჩატარდა XPS და SEM გაზომვები. მიღებული ოქსიდური ფირების პარამეტრები იძლევიან გარანტიას, რომ შეიძლება ისინი გამოყენებულ იქნან ველის ტრანზისტორებში ჩამკატვება დიელექტრიკებად. რადგან მათ აქვთ რიგი უპირატესობანი SiO<sub>2</sub> დიელექტრიკის მიმართ, პირველ რიგში ესაა, რომ ამ ოქსიდებს აქვთ ბევრად დიდი დიელექტრიკული მუდმივა, ვიდრე სხვა ოქსიდებს.

N <sup>o</sup>	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	A.Bibilashvili, R.Guliaev, N.Dolidze, G.Skhiladze, Z. Jibuti	low- Temperature Method of Formation of Group III Nitride (GaN, AlN) Nanofilms	4 <sup>th</sup> Internat. Conf. "Nanotechnolgi-es", October 24-27, 2016, Tbilisi, Georgia, Nano-2016, p.29, abstract

განხილულია მაღალი წინააღმდების ფუძეშრეზე GaN-ის და AlN-ის მაღალხარისხებონი ზეთხელი ფირების მიღება დაბალტემპერატურული ( $T \leq 600^{\circ}\text{C}$ ) Ga და Al-ის მაგნეტრონული გაფრქვევის მეთოდით აზოგის არეში. ეს მეთოდი უზრუნველყოფს პროცესის განმეორებადობას და ფირის დაფენის სიჩქარის მართვა დიდ დიაპაზონში. ამავე დროს შესაძლებელია GaN-ის და AlN-ის სტრუქტურების ფორმირების პროცესში ეფექტური იმპულსური ფოტონური გამოწვის (იჯგ) პროცესების ჩატარება სინათლის სპექტრის ფართო დიაპაზონში (ინფრაწითელი, ხილული, ულტრაინფრენი).

გაზომილია ფირების ოპტიკური და სტრუქტურული სპექტრები, გარდატეხის მაჩვენებლები, გამოსვლის მუშაობები, ზედაპირის ხორკლიანობა, აკრძალული ზონის მნიშვნელობები. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ლიტერატურიდან არის ცნობილი GaN მიიღება უპირატესად ი-ტიპის და p-ტიპის მიღება გაძნელებულია და ტექნოლოგიურად მნიშვნელოვან პროცესების წარმოადგენს. ჩვენს მიერ ჩატარებული რკინის ლეგირების შემდგომ ყველა ნიმუში აჩვენებს p-ტიპის გამტარებლობას, რაც გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს

N <sup>o</sup>	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	L. Jibuti, Z. Jibuti, R.Melkadze	The original method for studying optical properties of semiconductor materials and structures and the setup "Polychromator",	4 <sup>th</sup> Internat. Conf. "Nanotechnolgi-es", October 24-27, 2016, Tbilisi, Georgia, Nano-2016, p.89, abstract

მიკროელექტრონიკის ტექნოლოგიების შემუშავებისას, ნახევარგამტარული მასალებისა და მათ ბაზაზე შექმნილი ხელსაწყოების ფიზიკური თვისებების კვლევაში, სხვა მეთოდებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოპტიკური მეთოდები. გაზომვის ოპტიკური მეთოდები განსაკუთრებით ქმედითი და ეფექტური აღმოჩნდა ნანოტექნოლოგიური მასალების გამოჩენის პირობებში, რადგან არ მოითხოვენ ნივთიერებაზე ძლიერ ზემოქმედებას და მის სტრუქტურულ თუნდაც ლოკალურ რდგევას. რაც განაპირობებს უდიდეს ინტერესს გაზომვების ახალი ოპტიკური მეთოდების

შემუშავებისადმი. ჩვენს მიერ შექმნილია ხელაწყო „პოლიქრომატორი“ - როგორც ნახევარგამტარული მასალებისა და სტრუქტურების ოპტიკური თვისებების შემსწავლელი ახალი მოწყობილობა. ამ ხელსაწყოში ოპტიკური ფილტრების თანმიმდევრული ცვლილების გზით 200 – 4100nm ოპტიკურ დიაპაზონში გამოვყოფთ ელექტრომაგნიტური გამოსხივების პაკეტებს და ვიკლევთ შესასწავლი სტრუქტურების მაგალითად ფოტოსენსორების ფოტომგრანიტისას, არა კრონი ტალღის სიგრძის არამედ სპექტრალური პაკეტების მიმართ. აღმოჩნდა, რომ რიგ სპექტრალურ დიაპაზონში პოლიქრომატორისა და მონოქრომატორის საშუალებით გადაღებული ფოტომგრანიტისას მნიშვნელობები პრინციპულური განსხვავებულია. ჩვენი აზრით შემოთავაზებული ხელსაწყო და კვლევის მეთოდი ხსნის თანამედროვე ელექტრონიკის მასალების, სტრუქტურებისა და მათ ბაზაზე შექმნილი ხელსაწყოების ფიზიკური თვისებების შესწავლის ახალ შესაძლებლობებს.

### ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	A.Bibilashvili, Z. Kushitashvili	C-V Measurement of HfO <sub>2</sub> Dielectric Layer Received by UV Stimulated Plasma Anodizing	World Multidisciplinary Earth Sciences Symposium 2016, 5-9 September, 2016, Prague (Czech Republic)

მოცემულია სინათლით სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით მიღებული HfO<sub>2</sub> ოქსიდური ფირების პარამეტრების კვლევა. ამისათვის გამოყენებულია ვოლტ-ფარადული მახასიათებელი, საიდანაც განისაზოვრა ოქსიდის დიელექტრიკული მუდმივა, სწორი ზონების ძაბვა, ინვერსიის ძაბვა, ეფექტური მუხტი ოქსიდში, ზედაპირულ მდგომარეობათა კონცენტრაცია. გაზომვები ტარდებოდა ნახევარგამტარის პარამეტრების ანალიზატორ Keithley-4200-ზე. ოქსიდის სისქე გაიზომა რეფლექტორმეტრ MprobeVis სისტემაზე. ჩატარდა რენტგენო-სტრუქტურული ანალიზი.

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	A.Bibilashvili, Z. Kushitashvili	Low temperature oxidation of GaAs by UV stimulated plasma anodizing	World Multidisciplinary Earth Sciences Symposium 2016, 5-9 September, 2016, Prague (Czech Republic)

განხილულია GaAs-ის საკუთარი უანგის მიღების დაბალტემპერატურული ტექნოლოგია პლაზმური ანოდირების პროცესში ულტრაინისფერი სინათლის სტიმულირებით. განსაზღვრულია  $x\text{Ga}_2\text{O}_3+y\text{As}_2\text{O}_3$  საკუთარი უანგის ელექტრო-ფიზიკური და ოპტიკური ისეთი პარამეტრები, როგორიცაა: სისქე, გარ-დატების მაჩვენებელი, მუხტი ოქსიდში, ენერგეტიკულ მდგომარეობათა სიმკვრივე GaAs-საკუთარ უანგის გამყოფ საზღვარზე, ზედაპირული ხორკლიანობა. ჩატარებულიარენტგენო და ოქს-სპექტროს-კოპიები. შემუშავებულია სტიმულირებული პლაზმური ანოდირების მოდელი.

## მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება პატენტზე

№	ავტორი/ ავტორები	პატენტის სათაური	პატენტის/განც ხადების ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლო –ბა	ბეჭრდების რაოდენობა
1	ა.ბიბილაშვილი ი.ნ.დოლიძე	ნახევარგამტარდიე ლექტრიკის გამყოფ საზღვარზე ენერგეტიკული დონის განსაზღვრის ხერხი	AP 014017 პრიორიტეტი: 23 დეკემბერი 2015.	საქართველო	7

განხილულია ნახევარგამტარ-დიელექტრიკის გამყოფ საზღვარზე ენერგეტიკული დონის არსებობისას განსაზღვრის ახალი მეთოდი. ვოლტ-ფარადული მახასიათებლით, რომელიც ფართოდაა გავრცელებული, არ განისაზღვრება ზედაპირული დონის ჩაწოლის სიღრმე და როცა დონე ფერმის დონის მაღლაა კონცენტრაცია. შემოთავაზებულია და ექსპერიმენტზე განხორციელებულია ალტერნატიული მეთოდი – ზემოაღნიშნული პარამეტრების განსაზღვრისთვის. კერძოდ, მდნ-სტრუქტურაზე ედება გამდიდრების ძაბვა, რათა ფერმის ზემოთ არსებული დენე აღმოჩნდეს მოცულობასთან შედარებით ფერმის დონის ქვემოთ და მასზე დაჯდნენ ელექტრონები, შემდეგ მოხდეს გაცივება თხიერი აზოტის ტემპერატურამდე, ამით ზედაპირული დონე კიდევ უფრი დაბლა აღმოჩნდება, ვიდრე იყო აქამდე, ედება ინვერსიული ძაბვა და ფერმის დონე ზედაპირზე იქნება უფრო მაღლა მოცულობის დონესთან შედარებით. ამ ტემპერატურაზე ხვრელების გენერაცია მოცულობიდან არაა და ზედაპირულ დონეზე არის უწონასწორობა, საკმარისია მცირე ენერია, რომ ელექტრონებმა დატოვონ დონე და მდნ-ით შეკრულ წრედში გაჩნდება დენი, რისი მიღწევა შესაძლებელია სინათლის სხვადასხავა ტალღის დასხივებით სხვადასხვა ბიჯით. შესაბამისი ტალღის ენერგიისას წრედში აღიძვრება მყისიერად დენი, ამ დროს არ იცვლება დაცემული ტალღის ენერგია მანამ, სანამ დენი არ ჩაქრება, ანუ არ დაიცლება ეს ზედაპირული დონე ელექტრონებისგან. დაცემული ტალღის ენერგია განსაზღვრავს დონის ჩაწოლის სიღრმეს, ხოლო დენის რელაქსაციით მიღებული ფართი – კონცენტრაციას.

## პლაზმის ფიზიკის კათედრა

; სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება, სადაც შესრულდა პროექტი: თუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის დეპარტამენტი, პლაზმის ფიზიკის კათედრა

\*სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნოდარ ცინცაძე

; სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

V. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხებასამეცნიერო-კვლევითინსტიტუტებს)

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

### IV. 2.

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი)დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)

Nº	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
----	--	----------------------------	-----------------------	------------------------

1				
დასრულებული პროექტის მირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

V. 4.

VI.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	დაკვანტვა და ნაწილობრივ ურების აღგზება ფერმის დამაგნიტებულ კვანტურ პლაზმაში No. FR/101/6- 140/13/ პლაზმის ფიზიკა /	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნოდარ ცინცაძე	გრიგოლ ფერაძე დავით ბულისკერიძე

## II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

Nº	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელმწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

Nº	ავტორი/ავტორები	ქრებულის სახელმწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

სტატიები

Nº	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, შურნალის/კრებულის დასახელება	შურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nodar Tsintsadze	Statistical Thermodynamics of the fermi Gas at Presence of the relativistically Intense EM field /	Vol 10, No 2, 2016	თბილისი	10
2	Levan Tsintsadze				
3	Ketevan Sigua	საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის მოამბე			

### პრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

We discuss some aspects of interactions of high-frequency electromagnetic (EM) waves with quantum Fermi gas, assuming that the intensity of EM waves is sufficiently large. Relativistic statistical thermodynamics of quantum electron-ion gas at presence electromagnetic waves is considered. In this case the distribution function of particles becomes anisotropic, due to high power EM waves. By the new distribution function we study all the thermodynamic quantities as function of densities, temperatures and the amplitude of EM waves. We investigate the cavitation phenomenon of degenerate Fermi electron gas. We obtain a novel set of adiabatic equations. For two cases we obtain expressions of the specific heat, which is strongly dependent from the amplitude of EM waves, namely, the coefficient of the electron specific heat increases with the increase of the amplitude of EM waves.

ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთი ასპექტი მაღალისის შირის ელექტრომაგნიტური ტალღების ურთირთქმედები სკვანტურ ფერმი გაზთან. დაგუშვით რომ ინტენსივობა ელექტრომაგნიტური ტალღების არის საკმარისად დიდი. გავითვალისწინეთ რელატივისტიური სტატიისტიური თერმოდინამიკა კვანტური ელექტრონული ონური გაზისათვის ელექტრომაგნიტური ველის არსებობისას. ასეთ შემთხვევაში განაწილების ფუნქცია ხდება ანიზოტროპიული ძლიერი ელექტრომაგნიტური ველის გამო. ახალი განაწილების ფუნქციით ჩვენ ვსწავლობთ ყველა თერმოდინამიკულ სიდიდეს როგორც სიმკრივის, ტემერატურისა და ელექტრომაგნიტური ველის ამპლიტუდის ფუნქციას. შევისწავლეთ კავიტაციის ფენომენიგადაგვარებულიფერმიელექტრონულიგაზის. მივიღოთ ასალიადიადიაბატურიგანტოლებები. ორ შემთხვევაში მივიღეთ გამოსახულება კუთრი სითბოტევადობისათვის, რომელიც ძლიერადაა დამოკიდებული ელექტრომაგნიტური ველის ამპლიტუდაზე, აერძოდ: ელექტრონების კუთრი სითბოტევადობის კოეფიციენტი იზრდება ელექტრომაგნიტური ველის ამპლიტუდის ზრდასთან ერთად.

## II.2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

#### მონოგრაფიები

Nº	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
პრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

Nº	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
კრებული ანოტაცია ქართულ ენაზე				

## კრებულები

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
კრებული ანოტაცია ქართულ ენაზე				

## სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nodar L. TsintsadzeNN	Quasilinear theory of quantum Fermi liquid/ Low temperature Physics	V. 42 NO. 12 PP. 1368-1371		
2	Davit M. Alkhanishvili				

კრებული ანოტაცია ქართულ ენაზე

Quasilinear theory of a weakly turbulent quantum Fermi liquid is presented. Landau's linear theory of Fermi liquids is generalized by consideration of weak nonlinear regime. A newly derived kinetic equation of the Fermi particles is used to derive a slowly varying distribution function  $f_0$ , which satisfies the diffusion equation. It is shown that the magnitude of the diffusion coefficient  $D$  depends on weak interactions between atoms and the de Broglie waves diffraction.

ავანტური ფერმი სითხის სუსტად ტურბულენტობის კვაზილინეარული თეორია დღეს მოცემული გვაქვს. ლანდონის ფერმი სითხის წრფივი თეორია არის განზოგადოებული სუსტი არაწრფივობის განხილვით. ფერმი ნაწილაკების ახალი კინეტიკური განტოლების დახმარებით მივიღეთ ნელა ცვლადი განაწილების ფუნცია, რომლისთვისაც დაკმაყოფილდა დიფუზიის განტოლება. ნაჩვენებია რომ დიფუზიის კოეფიციენტის  $D$  მნიშვნელობა დამოკიდებულია დე-ბროილის ტალღის დიფრაქციას და ატომებს შორის ურთიერთქმედებაზე.

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nodar L. TsintsadzeNN	Propagation of ultra-intense electromagnetic waves through electron-positron-	23, 072303 (2016); Doi: 10.1063/1. 4955215		7
2	DCh. Rozina M. Jamil				
3					

	ion plasma/ Physics of Plasma		
--	----------------------------------	--	--

### გრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

Kinetic approach is used to study the propagation of ultrarelativistic (amplitude) electromagnetic waves through electron-positron-ion plasma. For our purposes, we formulate new plasma particle distribution function in the presence of ultra-relativistically intense circularly polarized electromagnetic (EM) waves. An effective, dispersion relation of constant amplitude ultra-relativistic EM wave is derived, skin depth is calculated in particular, frequency regimes and has shown numerically that the penetration depth increases with the amplitude of ultra-intense electromagnetic waves,  $\lambda_{sk} \sim a^{\frac{1}{2}}$ , i.e., plasma will be heated more in the region of skin depth. Next we have found that the nonlinear interaction of ultra-relativistically intense E.M. waves of time and space varying amplitude leads to construct kinetic nonlinear Schrodinger equation (KNSE), containing both local and non-local nonlinear terms, where nonlocal nonlinear term appears due to density perturbations of plasma species. Taking the effects of the latter into consideration, nonlinear Landau damping is discussed for KNSE. damping rate is computed, and numerically ultra-relativistic EM waves are shown to decay exponentially. The present results should be helpful to understand the specific properties of the ultra-relativistic EM waves in astrophysical plasmas. e.g. . pulsars, black holes, and neutron stars.

კინეტიკური მიდგომა გამოიყენება ულტრა-რელატივისტური ელექტრო-მაგნიტური ტალღების გავრცელების შესახვავლად ელექტრონ-პოზიტრონ-იონურ პლაზმაში. ჩვენი მიზნისთვის, ჩვენ ვქმნით პლაზმის ნაწილაკების ახალ განაწილების ფუნქციას ულტრა-რელატივისტური ინტენსიური წრიულად პოლარიზებული ელექტრო-მაგნიტური ტალღების არსებობის შემთხვევაში. ეფექტური, დისპერსიული ურთიერთქმედება მუდმივი ამპლიტუდის ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს შორის მიღებულია, კანის სიღრმე გამოთვლილია განსაკუთრებულ, სისურულ რეჟიმში და ვანახეთ რიცხობრივად რომ შედწევადობის სიღრმე იზრდა ულტრა-რელატივისტური ელექტრო-მაგნიტური ტალღების ამპლიტუდის გაზრდით  $\lambda_{sk} \sim a^{\frac{1}{2}}$ , კი. პლაზმა უფრო გაცხელდება კანის ღრმა რეგიონებში. შემდგომში ჩვენ ვიპოვეთ რომ ულტრა-რელატივისტური ინტენსიური, დროსა და სირცეში ცვლადი ამპლიტუდის ელექტრო-მაგნიტური ტალღების არაწრფივი ურთიერთქმედებას მივყავართ ახალი კინეტიკური არაწრფივი შრედინგერის განტოლებამდე, რომელიც შეიცავს ორივეს როგორც ლოკალურს ისე არალოკალურ არაწრფივ წევრებს, სადაც არაწრფივი წევრი ჩნდება პლაზმის სიმკრივის შეშვითებისგან.

ბოლო ეფექტების გათვალისწინებით არაწრფივი ლანდაუს შთანთქმა განხილულია კინეტიკური არაწრფივი შრედინგერის განტოლებისთვის. შთანთქმის ზომა გამოთვლილია და აულტრა-რელატივისტური ელექტრო-მაგნიტური ტალღები რიცხობრივად ნაჩვენებია რომ მცირდება ექსპონენციალურად. ახლანდელი შედეგები სასარგებლო იქნება განსაკუთრებული ულტრა-რელატივისტური ელექტრო-მაგნიტური ტალღებისპირობების გასაგებად პლაზმაში მაგ.: პულსარებში, შავ ხვრელებში და ნეიტრალურ ვარსკვლავებში.

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ch. Rozina	Modulation and Filamentation	AIP publishing	15
2	N.L. Tsintsadze	instability of ultrarelativistic	(2016)	
3	N. Maryam	electromagnetic waves in electron-		
	S. Komal	positron-ion plasma		

	/ AIP Physics of Plasmas		
<p>In this study, we have analytically investigated the effects of nonlinear Landau damping on the temporal growth rate of modulation a filamentation instabilities. Here the nonlocal nonlinear Landau damping phenomena is appearing due to the nonlinear interaction between ultrarelativistic electromagnetic (UREM) wave (having wave vector normal to the beam) and electron-positron-ion plasma. We found that the ultra relativistic ponderomotive force is linear, while usually it is nonlinear in relativistic case.</p> <p>ამ ნაშრომში ჩვენ ანალიზურად შევისწავლეთ არაწრფივი ლანდაუს შთანთქმის ეფექტები დროებითი ზრდის სიჩქარეში მოდულაციისა და ფილამენტაციის არამდგრადობაში. ამ შემთხვევაში არალოკალური არაწრფივი ლანდაუს შთანთქმის ეფექტი გამოწვეულია არაწრფივი ურთიერთქმედებით ულტრარელატივისტური ელექტრომაგნიტურ იტალდებსა და ელექტრონპონდიტრონიზულ პლაზმას შორის. ჩვენ აღმოვაჩინეთ რომ ულტრარელატივისტური პონდერომოტორული ძალა არის წრფივი, როდესაც ის ჩვეულებრივ არაწრფივია რელატივისტურ შემთხვევაში.</p>			

Nº	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა	ავტორი/ავტორები
1	Zahida Ehsan	New longitudinal	062125	AIP	
2	N. L. Tsintsadze	mode and		Publishing	7
3	H. A. Shah	compression of			
	R. M. G. M. Trines	pair ions in plasma			
	Muhammad Imran	/			
		AIP Physics of Plasmas			

Positive and negative ions forming the so-called pair plasma differing in sign or their charge but asymmetric in mass and temperature support a new acoustic-like mode. The condition for the excitation of ion sound wave through electron beam induced Cherenkov instability is also investigated. This beam can generate a perturbation in the pair ion plasmas in the presence of electrons when there is number density, temperature, and mass difference in the two species of ions. Basic emphasis is on the focusing of ion sound waves, and we show how in the area of localization of wave energy, density of pair particles increases while electrons are pushed away from that region. Further, this localization of wave is dependent on the shape or the pulse. Considering the example of pancake and bullet shaped pulses, we find that only the former leads to compression of pair ions in the supersonic regime of the focusing region. Here, possible existence of regions where pure pair particles can exist may also be speculated which is not only useful from academic point of view but also to mimic the situation of plasma (electron positron asymmetric and symmetric) observed in astrophysical environment.

პონდიტიური და ნეგატიური იონები რომლებიც ქმნიან გრეთწოდებულ წყვილურ პლაზმასგანსხვავდებიან მუხტის ნიშნით, მაგრამ ასიმეტრი ამასაში დატემპერატურაში იწვევს ახალ აკუსტიკურის მსგავს მოდას. იონური ბგერის აღგზნების პირობა ელექტრონული კონით იწვევს ჩერენკოვის არასტაბილურობას, რომელიც ასევე შევისწავლეთ. ამ კონას შეუძლია გამოიწვიოს შეშფოთებები წყვილურ იონურ პლაზმაში ელექტრონები სარსებობისას, როდესაც სიმკვრივეში, ტემპერატურაში და მასაში არის განსხვავება იონების ორ სახეობას შორის. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იონურ ბგერაზე, ჩვენვ აჩვენეთ თუ როგორ იზრდება ტალღის ენერგიის ლოკალიზაციის არეში წყვილების სიმკვრივე, როდესაც ელექტრონები გაიყრება ამ არედან. ტალღის

ლოგალიზაცია დამოკიდებულია პულსის ფორმაზე. განვიხილეთ ბლინის და ტყვიის სფორმის პულსები და აღმოვაჩინეთ რომ მხოლოდ უკანასკნელი იწვევს შეკუმშვას წყვილური იონების ზებგერით რეჟიმში ფოკუსირების არეში. შესაძლებელი არსებობა არების, სადაც წმინდა წყვილური ნაწილაკები შეიძლება არსებობდეს, საინტერესოა არამხოლოდ აკადემიური თვალსაზრისით, არამედ შესაძლებელია გაიმეოროს ასტროფიზიკულ გარემოში არსებული პლაზმის სიტუაცია.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	EHSAN , Zahida	Cherenkov Instability and Possible Formation of Pure Pair plasma for the laboratory Astrophysics	Joint ICTP-IAEA COLLEGE ON PLASMA PHYSICS, 7-18 NOVEMBER 2016, TRIESTE ITALY
2			
3			

მოხსენებაში განხილულია ჩერენკოვის არასტაბილურობა წყვილურ პლაზმაშ, როგორებიცაა ელექტრონულ იონები და წყვილური იონები. გამოთვლილია შესაბამისი ინკრიმენტები.

Nº	momxsenebeli/ momxseneblebi	moxsenebissaTauri	forumisCatarebis dro da adgili
1	GrigolPeradze		The 3rd Conference on New Advances in Condensed Matter Physics (NACMP2016)
2	N.L.		February 28 - March 1,
3	Tshintsadze	Nonlinear nanostructures in the quantum electron-ion gas	Beijing, China.

In recent years, a huge number of works have been devoted to the investigation of collective behavior of quantum Fermi gas. Such interest is motivated by its potential application in modern technology, e.g. metallic and semiconducting nanostructures – such as metallic nanoparticles, metal clusters, thin metal films, spintronics, nanotubes, quantum well and quantum dots, nanoplasmonic devices, quantum X-ray free – electron lagers, etc.

To be based on the new quantum kinetic equation of Fermi particles, which recently was derived by N. L. Tsintsadze and L. N. Tsintsadze [1], a general quantum dispersion equation for electron-ion degenerate Fermi gas, with Madelung term is derived and studied for some interesting cases. Furthermore, then Korteweg-de Vries (KdV) equation for novel quantum waves is derived and contribution of KdV solitons are discussed.

New effect that we have shown is that when the quantum (Madelung) term exceeds the term due to the charge separation, the compressional becomes the rarefaction solitons.

უკანასკნელ წლებში მრავალი შრომა მიეძღვნა კვანტური ფერმი გაზის კოლექტიური თვისებების შესწავლას. ასეთი ინტერესი გამოწვეულია მისი პოტენციური გამოყენებით თანამედროვე ტექნოლოგიებში, როგორებიცაა: მეტალური და ნახევარგამტარული

ნანოსტრუქტურები - მეტალური ნანონაწილაკები, მეტალისკლასტერები, თხელი მეტალის ფილმები, სპინტრონიკები, ნანოტუბები, კვანტური წერტილები და კვანტური უჯრები, ნანოპლაზმური მოწყობილობები და ა.შ.

ახალი კვანტური კინეტიკური განტოლების, ფერმი ნაწილაკებისათვის ,გამოყენებით ელექტრონული ონური ფერმი გაზისათვის მივიღეთ კვანტური დისპერსიის თანაფარდობა. მაღელუნგის წევრი შევისწავლეთ საინტერესო შემთხვევებში. კორტევეგა-დევრიეს განტოლება ახალიკვანტური ტალღებისათვის მივიღეთ და განვიხილეთ სოლიტონური ამოხსნები. ახალიეფექტი რაც ვაჩვენთარისისრომ, როდესაცკვანტური, მაღელუნგის, წევრიაჭარბებსმუხტურიგანცალებისწევრს, შეკუმშული სოლიტონი ხდება გაუხშოებული სოლიტონი.

## რადიოფიზიკისა და ფიზიკური პროცესების მოდელირების მიმართულება

1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათაფაკულტეტი

ფიზიკის მიმართულება

რადიოფიზიკისა და ფიზიკური პროცესების მოდელირების მიმართულება

2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:

ოლეგ ხარშილაძე

3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

I. 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები  
(ეხებასამეცნიერო-კვლევითინსტიტუტებს)

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	გეოკოსმოსურ სივრცეში უდსელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების არაწრფივი დინამიკის რიცხვითი მოდელირება;	ოლეგ ხარშილაძე	
2	ფრიქიფიული ავტორხევითი პროცესების მოდელირება.		

გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია

გეოკოსმოსიდან დედამიწაზე დაკვირვება და მასზე დინამიური პროცესების კვლევა წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. ამისათვის გამოიყენება როგორც ექსპერიმენტალური, ასევე თეორიული და რიცხვითი-კომპიუტერული მოდელირების მეთოდები, რომლებსაც ჩვენ ვამუშავებთ. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლევები ჩავატარეთ შემდეგი მიმართულებით: ეს არის თანამგზავრული დისტანციური ზონდირების მეთოდების შესწავლა, გეოკოსმოსურ გარემოზე (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) თანამგზავრული დაკვირვებების მონაცემთა ანალიზი და მათი თეორიული ინტერპრეტაცია და თეორიული კვლევები და რიცხვითი მოდელირება კოსმოსური პლაზმური გარემოს მოდელებში.

ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევები დედამიწის ახლომდებარე კოსმოსურ გარემოში (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ფიზიკური და დინამიური პროცესებზე თანამგზავრული სისტემებით და მაღალმგრძნობიარე სენსორული დანადგარებით მიღებული მონაცემების

დამუშავების და ანალიზის საფუძველზე. დედამიწის ახლომდებარე კოსმოსური გარემო (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ხასიათდება როგორი არასტაციონალური დინამიკით და ასეთი პროცესების ანალიზისათვის, განსაკუთრებით გარედან არასტაციონალური (დარტყმითი) ზემოქმედების პირობებში მნიშვნელოვანია დინამიკის დეტერმინირებული და სტრესტური ნაწილების შეფასება, როგორც დიდმასშტაბიანი ტალღური სტრუქტურების, ასევე ფრაქტალური ბუნების სტრუქტურების გენერაციის შესაძლებლობის გამოკვლევა.

თანამგზავრების საშუალებით მიღებული ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების და მათი ფიზიკური და თეორიული ინტერპრეტაციის მიზნით შეიქმნა პლაზმური შემფორებების არაწრფივი დინამიკის აღმწერი ფიზიკური მოდელი. ამ მოდელში გათვალისწინებულია შემფორებების გეოკოსმოსურ სივრცულად არაერთგვაროვან დინებებთან ურთიერთქმედების არაწრფივი მექანიზმები. ამ დინებებიდან ენერგეტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანია ზონალური ტიპის დინებები და ჩატარებულია ასეთი დიდმასშტაბიანი სტრუქტურების ფორმირების რიცხვითი მოდელირება.

არაწრფივი დინამიკის მეთოდებით შესწავლილია THEMIS სატელიტური მისიის მიერ დამზერილი მაგნიტოსფერული დინებების სიჩქარის და მაგნიტური ველის შემფორებების მდგრელების დროითი მწკრივები. ამ მონაცემების ციფრული დამუშავებისათვის გამოყენებულია რეგურენტული დიაგრამების მეთოდი, რომელიც ეფექტურად მუშაობს მოკლე მონაცემთა მწკრივებისთვის. რეგურენტულობა არის დისიპაციური დინამიური სისტემების ფუნდამენტური თვისება, რაც გამოყენებულია მაგნიტოსფეროს კუდში რელაქსაციური პროცესების ანალიზისთვის.

ჩატარდა კვლევები დამაგნიტებულ პლაზმაში არაერთგვაროვანი პოლოიდალური ფონური წანაცვლებითი დინებების ზემოქმედებისას მცირე მასშტაბიანი ელექტროსტატიკური დრეიფული ტალღური ტურბულენტობით დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების გენერაციის შესაძლებლობის შესწავლისათვის. განხილულია იონის ლარმორის რადიუსთან შედარებით დიდმასშტაბიანი დრეიფული სტრუქტურები. ამ მიზნით მიღებულია განზოგადებული ჰასეგავა-მიმას განტოლება, რომელიც შეიცავს როგორც ვექტორულ, ასევე სკალარულ არაწრფივობას. ამ მიღგომით მიღებულია შესაბამისი ამოცანა საკუთარ რიცხვებზე და მიღებულია რიცხვითი შედეგები. განხილული განზოგადებული ამოცანა საკუთარ რიცხვებსა და საკუთარ ფუნქციებზე ამონებილია სასრულ სხვაობიანი მეთოდით და ნაჩვენებია ალგორითმის კრებადობა და ეფექტურობა ტალღური არამდგრადობის ინკრემენტის გამოთვლისათვის. რიცხვითმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს ფონური დინების ამპლიტუდის და ელექტრონული ტემპერატურის სივრცული არაერთგვაროვნების როგორც დესტაბილიზაციის ფაქტორის როლი.

ასევე განხილული და შესწავლილია ზონალური დინებების გენერაციის თეორიული აღწერის ამოცანა წანაცვლებითი დინებებით მართულ ტურბულენტურ იონოსფეროში. მიღებულია ჩარნი-ობუსხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი განსხვავებული მასშტაბების მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) დამაგნიტებული როსბის ტალღის, მისი ორი სატელიტის, გრძელტალღოვანი ზონალური დინების და დიდმასშტაბიანი ფონური წანაცვლებითი დინების (არაერთგვაროვანი ქარი). გამოკვლეულია არაწრფივი ეფექტების (ვექტორული, სკალარული) გავლენა დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაზე სასრული ამპლიტუდის დამაგნიტებული როსბის ტალღებით დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამის განტოლებათა სისტემის თეორიული და რიცხვითი ანალიზის საფუძველზე (საკუთარ რიცხვებზე განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილია შედარებით მცირემასშტაბიანი უდს დამაგნიტებული როსბის ტალღებისა და ფინური წანაცვლებითი დინების დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში ენერგიის გადაქაჩვის და ხუთი ტალღისგან შემდგარი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი ორგანიზაციის ახალი თავისებურებები იონოსფერულ გარემოში.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ დაწყებულია კვლევები მიწისძვრებში ფრიქციული ავტორხევების დინამიკის შესაძლო მოდელების შექმნისათვის. სეისმური პროცესების მოდელირების მიზნით განხილულია ტექტონიკური ფილების მოძრაობის დინამიკა ხახუნის ძალის შტრიბებულების გათვალისწინებით. მარტივი ერთბლოკიანი სისტემის ჰაიკინის ამოცანაში ბლოკის დაბალი სიჩქარეებისათვის მიღებულია ვან-დერ-პოლის განტოლება, რომელიც აღწერს ფრიქციულ ავტორხევებს. ამ მოდელში ნაჩვენებია „სტიკ-სლიპ“ დინამიკის არსებობა, რომლის შესწავლა აქტუალურია მიწისძვრის პროცესების შესაძლო მექანიზმის გამოსავლენად. განხილულია ორი ბმული ვან-დერ-პოლის ოსცილატორის დინამიკა, რომელშიც გარე პერიოდული ძალის არსებობისას დაბალსიხშირული პერიოდული „ტექტონიკური“ სიგნალის ფონზე გამოვლენილია მაღალსიხშირული „სეისმური“ რხევები. ასეთი სიგნალები მიღებულია რეალური სეისმური გაფილტრული სიგნალებიდან, რაც გვიჩვენებს მოდელის კარგ თვისობრივ თანხვედრას რეალურ სეისმურ დაკვირვებებთან.

რიცხვითი მეთოდების გამოყენებით ასევე შესწავლილია ერთი და ორ-ბლოკიანი სისტემების არაწრფივი დინამიკა მშრალი ხახუნის სხვადასხვა ანალიზური მოდელის საშუალებით სიჩქარის შეზღუდვის გარეშე და ნაჩვენები როგორც „სტიკ-სლიპ“ მოძრაობის, ასევე დეტერმინირებული ქაოსის შესაძლებლობა შტრიბებულების გათვალისწინებით. რეგულარული და ქაოსური მოძრაობები თვისობრივად შესწავლილია მოდელში მიღებული სიგნალების სპექტრალური ანალიზით, ბიფურკაციული დიაგრამებით და ფაზური ტრაექტორიების პუანკარეს კვეთების აგებით. დეტერმინირებული ქაოსის არსებობა ასეთ მარტივ მოდელებშიც პრობლემურს ხდის მიწისძვრის პროგნოზირებას, მაგრამ იძლევა პროცესის ფიზიკურ სურათს.

### I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი)დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)

N	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ელექტრომაგნიტური ამინდის შემქმნელი უდს ტალღური სტრუქტურების გენერაცია, ინტენსივიკაცია და ურთიერთტრანსფორმაცია წანაცვლებით დინებებით მართულ იონოსფეროში (2013-2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. გეგუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი და მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში)	ო. ხარშილაძე რ. ჭანიშვილი ხ. ჩარგაზია ნ. ფირცხალავა	

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია

დედამიწის ზედა ატმოსფერო და მაგნიტოსფეროს მიწისპირა არეებში მუდმივად არსებობენ ასობით საკომუნიკაციო და თავდაცვითი თანამგზავრები,

რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ნაციონალური უსაფრთხოებისათვის. ამ საკომუნიკაციო სისტემებისა და თანამგზავრული ტექნიკის უსაფრთხოების დასაცავად, ძალზე მნიშვნელოვანია გარკვეულ იქნას თუ რა როლი შეუძლია ითამაშოს იონოსფერული პლაზმისა და ატმოსფერული მეცნიერებების მეთოდებისა და მიღწევების გამოყენებამ. ისევე როგორც ტროპოსფეროში, ამ არების ამინდის შეშფოთებაზე უდიდეს გავლენას ახდენს მზე და მისი აქტიურობა. იონოსფერულ გარემოში ქარების, ქარების წანაცვლების და შესაბამისი ელექტროდინამიკური პროცესების პროგნოზირება წარმოადგენს ახალ ერას ფიზიკაში, რომლის მნიშვნელობა სულ უფრო გაიზრდება, რაგდანაც კაცობრიობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული გლობალურ კომუნიკაციებზე და თანამგზავრულ სანავიგაციო სისტემებზე.

უდს პლანეტარული ელექტრომაგნიტური ტალღების ბიოლოგიურ აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ: ეს ტალღები არიან ძალიან გრძელი და ისინი თითქოს ძნელად უნდა ზემოქმედებდნენ ცოცხალ ორგანიზმებზე. მაგრამ როგორც ქვემოთ იქნება აღნიშნული, არაერთგვაროვან ლოკალურ ქარებთან ურთიერთქმედებისას ამ დიდმაშტაბიანი ტალღებს შეუძლიათ გარდაიქმნან (ტრანსფორმირდნენ) მცირე მასშტაბიან ელექტრომაგნიტურ მოდებად (უდს მოკლე ტალღოვანი ალფენის ტალღები, ციკლოტრონული ტალღები, მჟღ მოდები), ამ უკანასკნელნს კი შეუძლიათ ეფექტურად იმოქმედონ ცოცხალ ორგანიზმებზე.

ამ ტალღური შეშფოთებების ექსპერიმენტებით და დაკვირვებებით გამოვლენილი თავისებურებებისა და დინამიკის შედარებით სრული თეორიულ კვლევების ჩატარება წარმოადგენს წინამდებარე პროექტის ძირითად მიზანს.

უწყვეტ გარემოში არსებული არაერთგვაროვნი წანაცვლებითი დინებები (მაგალითად, იონოსფერული არაერთგვაროვანი ქარები) წარმოადგენს სხვადასხვა სახის ინტენსიური, ენერგოტევადი პროცესების ძლიერ წყაროს, რომელთა თეორიული ახსნა-არგუმენტირება, მიუხედავად მათი კვლევის მრავალწლიანი ისტორიისა, არის ძალზე რთული წრფივ მიახლოებაშიც კი.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების (მიმართული პარალელების გასწვრივ), სტრიმერების (მიმართული მერიდიანების გასწვრივ) და დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების გენერაციის თავისებურებების შესწავლას როგორც კოსმოსურ პლაზმურ გარემოში, ასევე ლაბორატორიულ პლაზმურ დანადგარებში. ასეთი ინტენსი განპირობებულია დაკვირვებებით-ექსპერიმენტებით გამოვლენილი იმ ფაქტით, რომ ამ სტრუქტურების გენერაცია-აღგზნებას შეუძლია გამოიწვიოს გარემოში არსებული მცირე-მასშტაბიანი ტურბულენტობით გამოწვეული გადატანის პროცესების საგრძნობი შემცირება და ამით ხელს უწყობს ისეთი მოდების შენარჩუნებას, რომლებიც ადაპტირებულია გარემოს წონასწორულ მდგომარეობასთან. არიან ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი უმრავლესობა პლანეტარული ატმოსფეროს კოლექტიური აქტიურობისა. ეს სტრუქტურები ვლინდებიან როგორც დიდმასშტაბიანი, დაბალსიხშირული ტალღური მოდები რომლებიც, ძირითადად, ვრცელდებიან პარალელების გასწვრივ. ყოველივე ამის გამო, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ სტრუქტურების გენერაციის, ევოლუციის, მათი ერთმანეთთან და გარემოსთან არაწრფივი ურთიერთქმედების და თვითორგანიზაციის თავისებურებების გამოკვლევას.

წარმოდგენილი პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს იონოსფეროს სხვადასხვა შრეებში გლობალური ამინდის შემქმნელი უდს ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის მექანიზმისა და წრფივი და არაწრფივი დინამიკის თავისებურებების გამოკვლევა მათი ლოკალურ სივრცით არაერთგვაროვან წანაცვლებით ქარებთან ურთიერთქმედებისას; არსებული დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების მონაცემების ანალიზის საფუძველზე საკვლევი მოვლენებისა და პროცესების თვითშეთანხმებული ფიზიკური და მათემატიკური მოდელის შექმნა;

ამ მოდელების ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების ანალიზით მიღებული შედეგების ექსპერიმენტალურ მონაცემებთან შედარება. შესაბამისი მათემატიკური მოდელი (დინამიკური განტოლებები) ამოხსნება ანალიზურად და ასევე რიცხვითი მეთოდების გამოყენებით.

პროექტის ფარგლებში გადაწყვეტილ იქნა შემდეგი აქტუალური ამოცანები:

\* იონოსფეროში გლობალური ამინდის შემქმნელი უდს დიდმას შტაბიანი ელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების გენერაციისა და გაძლიერების მექანიზმის გამოვლენა იონოსფეროს სხვადასხვა შრეებში.

\* უდს პლანეტარული ჩქარი და ნელი ელექტრომაგნიტური ტალღების გაძლიერება და წრფივი ურთიერთ ტრანსფორმაცია არაერთგვაროვან წანაცვლებით ქართან ურთიერთქმედებისას.

\* უდს ელექტრომაგნიტური ტალღების რეგენერაციული არეკვლა (ზეარეკვლა) იონოსფეროს და არეებში მათი ლოკალურ არაერთგვაროვან დინებებთან (ქარებთან) ურთიერთქმედებისას.

\* უდს ელექტრომაგნიტური ტალღების არაწრფივ გრიგალურ სტრუქტურებად თვითორგანიზაციის ეფექტი იონოსფეროს სხვადასხვა შრეებში არაერთგვაროვანი ქარების ფონზე.

\* არაწრფივი უდს დიდმას შტაბიანი გრიგალური სტრუქტურების თვითშენარჩუნება წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში.

\* უდს ტალღური მოძრაობების მიერ დიდმას შტაბიანი ზონალური დინებებისა და სტრიმერების არაწრფივი გენერაცია იონოსფეროს სხვადასხვა შრეებში.

\* შედარებით მცირე მას შტაბიანი უდს ელექტრომაგნიტური შეშფოთებების მიერ დიდ-მას შტაბიანი ზონალური მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია;

\* უდს ჩქარი ელექტრომაგნიტური მოდის არაწრფივი ურთიერთქმედება ფონურ არაერთგვაროვან ქართან და სტაციონარულ გრიგალურ სტრუქტურებთან იონოსფეროში;

\* ფონური არაერთგვაროვანი ქარის ზემოქმედება უდს მოდის დიდმას შტაბიანი ზონალური მოძრაობის გენერაციაზე.

\* გენერირებული დიდმას შტაბიანი ზონალური დინებების და მაგნიტური ველების უკუზემოქმედება შედარებით მოკლე-მას შტაბიან უდს ელექტრომაგნიტურ ტალღებზე; მცირე მას შტაბიანი ტურბულენტობის მილევა - ჩაქრობა.

\* თეორიულად შესწავლილი უდს ელექტრომაგნიტური ტალღების დინამიკის შედარება როგორც თანამგზავრულ და მიწისპირა გეომაგნიტური აქტიურობების დაკვირვებების მონაცემებთან, ასევე რამდენიმე პუნქტში დამზერილი მიწისზედა დონის ატმოსფერული ელექტრული ველის ცვლილებებთან.

## II.1. პუნქტუაციები:

### ა) საქართველოში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ქურნალის/კრებულის დასახელება	ქურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები ს რაოდენობა
1	რ. ჭანიშვილი ო. ხარშილაძე ე. უჩავა დ. ზილფიმიანი	A new approach of shear flows linear transient dynamics of waves and	2016, 19b,	თბილისი	18

	vortices. Stably stratified atmospheric flow with horizontal shear (ტალღებისა და გრიგალების წრფივი ტრანზიენტული დინამიკის ახალი მიღება წანაცვლებით დინებებში. მდგრადი სტრატიფიკაციის ატმოსფეროს დინებები პორიზონტალური წანაცვლებით) / Journal of Georgian Geophysical Society, Issue B – Physics of Atmosphere and Ocean.		
<p>. ნაშრომის მიზანია გრიგალის და ტალღური მოდების დინამიკის ახალი წარმოდგენა ატმოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებებში. ახალი მიღება - ფიზიკური სიდიდეების საკუთარი ცვლადებით - შესწავლილია წანაცვლებითი დინებით ინდუცირებული წრფივი ტრანზიენტული ზრდა და გრიგალის და შიდა გრავიტაციული ტალღის მოდების კავშირი. ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა ერთმანეთისგან განცალდეს განსხვავებული ფიზიკური პროცესები, გაირკვეს მათი ურთიერთქმედების მექანიზმი და ამ მიღებით აიგოს მოდებს შორის კავშირების ფიზიკური სურათი სტრატიფიცირებულ ატმოსფეროში პორიზონტალურად წანაცვლებული სიჩქარის მქონე ზონალურ დინებებში. ჩვენ რიცხვითი მეთოდით შევისწავლეთ შეშფოთებული პარმონიკების წრფივი დინამიკა ორ განსხვავებულ შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ დინამიკა ძლიერადად დამოკიდებული წანაცვლების პარამეტრზე, საწყის გრიგალურობასა და ტალღური რიცხვების თანაფარდობაზე.</p>			

## II.2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

#### სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ქურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	Numerical model of zonal flow generation by magnetized Rossby waves in the ionosphere with shear flow (იონოსფეროში წანაცვლებითი ფონური	v.56, 6 მიღებულია	მოსკოვი, რუსეთი; MAIK – Publishing House	24

		დინებებისას დამაგნიტებული როსბის ტალღებით ზონალური დინებების გენერაციის რიცხვითი მოდელირება // Geomagnetism I Aeronomia			
--	--	--	--	--	--

## ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება ზონალური დინებების გენერაციის თეორიული აღწერის ამოცანას წანაცვლებითი დინებებით მართულ ტურბულენციურ იონოსფეროში. მიღებულია ჩარნი-ობუქოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი განსხვავებული მასშტაბების მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) დამაგნიტებული როსბის ტალღის, მისი ორი სატელიტის, გრძელტალღოვანი ზონალური დინების და დიდმაშტაბიანი ფონური წანაცვლებითი დინების (არაერთგვაროვანი ქარი). გამოკვლეულია არაწრფივი ჰექტების (ვექტორული, სკალარული) გავლენა დიდმაშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაზე სასრული ამპლიტუდის დამაგნიტებული როსბის ტალღებით დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულია მოდიფიცირებული პარამეტრული მიღომა. შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის შესაბამის განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე (საკუთარ რიცხვებზე განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილია შედარებით მცირებასშტაბიანი უდს დამაგნიტებული როსბის ტალღებისა და ფინური წანაცვლებითი დინების დიდმაშტაბიან ზონალურ დინებებში ენერგიის გადაქაჩვის და ხუთი ტალღისგან შემდგარი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი ორგანიზაციის ახალი თავისებურებები იონოსფერულ გარემოში. ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრული ამპლიტუდის დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური დინების ზემოქმედებით.

2	რ.ჭანიშვილი, გ.ჩაგელიშვილი ე.უჩავა ო.ხარშილაძე	Linear coupling of planetary scale waves in ionospheric zonal shear winds: Generation of fast magnetic waves (იონოსფეროს ზონალურ წანაცვლებით ქარში პლანეტარული მაშტაბის ტალღების წალღების წრფივი ბმა) / Physics of plasmas,	2016, 042109	23, შემოთავაზებული შტატები/ American Institute of Physics	9
---	---	---	--------------	--	---

## ანოტაცია

შესწავლილია წანაცვლებითი დინების არანორმალურობით გამოწვეული პლანეტარული მაშტაბის ნელი მოდიფიცირებული როსბის ტალღებისა და დასავლეთით გავრცელებადი სწრაფი დამაგნიტებული (ხანთაძის) ტალღების წრფივი ბმა. ტალღების წრფივი დინამიკის კვლევა ჩატარებულია მათემატიკური ფორმალიზმით, რომელიც განსხვავდება ფართოდ გავრცელებულისაგან. შემოთავაზებული ანალიზი საშუალებას იძლევა განცალკევდნენ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ფიზიკური პროცესები, აღწერილ იქნას მათი ურთიერთგავლენა შემუშავდეს იონოსფერული ზონალური დინებების ნელი და სწრაფი ტალების წრფივი ბმის ბაზური ფიზიკა. ნაჩვენებია, რომ: ნელი როსბის ტალები აგენერირებენ სწრაფ დამაგნიტებულ ტალღებს იონოსფეროსა და წანაცვლებითი დინების პარამეტრების საკმაოდ ფართო არეალისათვის; წრფივი ტრანზისიტური პროცესები ხასიათდებიან ძლიერი ანიზოტროპიით ტალღური რიცხვების სივრცეში; დამაგნიტებული ტალღების

გენერაცია ყველაზე ეფექტურია მაშინ როდესაც დინების ნორმალზებული წანაცვლების პარამეტრი 0.1 -ის რიგისაა. ოპტიმალურად გენერირებული დამაგნიტებული ტალღების პარმონიკების დინების გასწვრივი ტალღური რიცხვი მცირდება პოლის პარამეტრის ზრდასთან ერთად. ბოლოს გაანალიზებულია აღწერილი ანიზოტროპული წრფივი დინამიკის გავლენა არაწრფივ პროცესებზე.

3	თ. კალაძე, ო. ხარშილაძე	<u>Generation of electrostatic drift zonal flows under the action of mean sheared flows</u>  (ელექტროსტატიკური დრეიფული ზონალური დინებების გენერაცია ფონური წანაცვლებითი დინებების ზემოქმედებისას) / Physics of plasmas	2016, 23, 122306	ამერიკის შეერთებული შტატები/ American Institute of Physics	6
---	----------------------------	--	---------------------	---	---

#### ანოტაცია

სტატიაში განხილულია დამაგნიტებულ პლაზმაში არაერთგვაროვანი პოლოიდალური ფონური წანაცვლებითი დინებების ზემოქმედებისას მცირე მასშტაბიანი ელექტროსტატიკური დრეიფული ტალღური ტურბულენტობით დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების გენერაციის შესაძლებლობა. განიხილება იონის ლარმორის რადიუსთან შედარებით დიდმასშტაბიანი დრეიფული სტრუქტურები. ამ მიზნით მიღებულია განზოგადებული პასეგავა-მიმას განტოლება, რომელიც შეიცავს როგორც ვექტორულ, ასევე სკალარულ არაწრფივობას. მიღებულია შესაბამისი ამოცანა საკუთარ რიცხვებზე, რომელიც ამოხსნილია რიცხვითი მეთოდით. ნაჩვენებია ფონური დინების ამპლიტუდის და ელექტრონული ტემპერატურის სივრცული არაერთგვაროვნების როგორც დესტაბილიზაციის ფაქტორის როლი.

4	კალაძე თ, ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო, წამალაშვილი ლ.	პლაზმური ტალღების მიერ ზონალური დინებისა და მაგნიტური ველის გენერაცია დედამიწის იონოსფეროში // გამოყენებითი მათემატიკისა და ფიზიკის ჟურნალი (JAMP)	4, P. 487- 491, 2016	ირვინი, კალიფორნია, აშშ, SCIRP – an Academic Publisher	4
---	---	--	-------------------------	---	---

#### ანოტაცია

ნაჩვენებია დიდმასშტაბიანი ზონალური დინებისა და მაგნიტური ველის გენერაციის შესაძლებლობა იონოსფეროში მოკლე ტალღოვანი დაბალსიხშირული ტალღების ურთიერთქმედებით. გამოვლენილია და კარგადაა შესწავლილი შიდა გრავიტაციული ფენის, როსბი-ხანთაძის, როსბი-ალფენ-ხანთაძის და არადაჯახებადი ელექტრონის სკინ სისქის დრეიფულ ალფენის ბმული ტალღების გავრცელება. აღნიშნული ბმული ტალღების წანაცვლებით დინებებთან არაწრფივი ურთიერთქმედების შესასწავლად მიღებულია სათანადო არაწრფივ განტოლებათა სისტემა. არამდგრადობის მექანიზმი დაფუძნებულია სასრულო ამპლიტუდიან მოკლე პლაზმურული ტალღების არაწრფივ პარამეტრულ სამმაგ ურთიერთქმედებზე, რომელიც იწვევს ენერგიის უკუკასკადს გრძელტალღოვანი არისკენ. ნაჩვენებია, რომ ამგვარი

ურთიერთქმედებით შესაძლებელია ინტენსიური მაგნიტური გელების გენერაცია. შესაბამისი ზრდის სიჩქარე შესწავლილია საფუძვლიანად.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

N	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია	ზონალური სტრუქტურების გენერაციის მოდელირება არაერთგვაროვან იონოსფერულ დინებებში და თანამგზავრული მონაცემების რეკურენტული ანალიზი	თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის 4-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია ივანე ჯავახუშვილის დაბადებიდან 140 იუბილისადმი მიძღვნილი, 25-30 იანვარი, თბილისი, საქართველო

#### მოხსენების ანოტაცია

დედამიწის ახლომდებარე კოსმოსური გარემო (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ხასიათდება რთული დინამიკით და ასეთი პროცესების მოდელირებისათვის, განსაკუთრებით გარედან არასტაციონალური (დარტყმითი) ზემოქმედების პირობებში მნიშვნელოვანია დინამიკის დეტერმინირებული და სტოქასტური ნაწილების შეფასება, როგორც დიდმასშტაბიანი ტალღური სტრუქტურების, ასევე ფრაქტალური ბუნების სტრუქტურების გენერაციის შესაძლებლობის გამოკვლევა.

ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების და მათი ფიზიკური და თეორიული ინტერპრეტაციის მიზნით შეიქმნა პლაზმური შემფოთებების არაწრფივი დინამიკის აღმწერი ფიზიკური მოდელი. ამ მოდელში გათვალისწინებულია შემფოთებების გეოკოსმოსურ სივრცულად არაერთგვაროვან დინებებთან ურთიერთქმედების არაწრფივი მექანიზმები. ამ დინებებიდან ენერგეტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანია ზონალური ტიპის დინებები და ჩატარებულია ასეთი დიდმასშტაბიანი სტრუქტურების ფორმირების რიცხვითი მოდელირება.

არაწრფივი დინამიკის მეთოდებით შესწავლილია TEMIS სატელიტური მისიის მიერ დამზერილი მაგნიტოსფერული დინებების სიჩქარის და მაგნიტური ველის შემფოთებების მდგრენელების დროითი მწკრივები. ამ მონაცემების ციფრული დამუშავებისათვის გამოყენებულია რეკურენტული დიაგრამების მეთოდი, რომელიც ეფექტურად მუშაობს მოკლე მონაცემთა მწკრივებისთვის. რეკურენტულობა არის დისიაციური დინამიური სისტემების ფუნდამენტური თვისება, რაც გამოყენებულია მაგნიტოსფეროს კუდში რელაქსაციური პროცესების ანალიზისთვის. პლაზმური შემფოთებების არაწრფივი ანალიზის შედეგები ინტერპრეტაციისთვის შედარებულია ლორენცის მოდელით და ვეიერშტრასის ფუნქციით მიღებულ სიგნალებთან. რეკურენტული დიაგრამების მეთოდის საშუალებით გამოვლენილია ექსპერიმენტებში გაზიარებული სიგნალების ფრაქტალური ბუნება და დინამიური ქაოსის პარამეტრები. ერთმანეთთან შედარებულია რიცხვითი მოდელირებით და თანამგზავრული მონაცემების დამუშავებით მიღებული შედეგები.

2	ო. კალაძე, ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია	ულტრა დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების ტრანზისტურული ზრდა წანაცვლებითი	XXX თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული
---	--	---	--

	ქარებით მართულ იონოსფეროში	სემინარი, 20-22 აპრილი, 2016; თბილისი, საქართველო
--	-------------------------------	--

## მოხსენების ანოტაცია

გამოვლენილია ულტრადაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების ტრანზისტულ ზრდა და შემდგომ წრფივი და არაწრფივი დინამიკა მბრუნავ დისიპაციურ იონოსფეროში, რომელიც განპირობებულია არაერთგაროვანი ზონალური ქარების (წანაცვლებითი დინება) არსებობით. პლანეტარული უდს ელექტრომაგნიტური ტალღები გენერირდებიან იონოსფერულ გარემოსა და სივრცით არაერთგაროვანი გეომაგნიტური ველის ურთიერთქმედებით. ნაჩვენებია, რომ ეს ტალღური შეშფოთებები უფერტურად ქაჩავენ ენერგიას. ეს შეშფოთებები თვითორგანიზდებიან არაწრფივი განმხოლობებული, ძლიერად ლოკალიზებული უდს ელექტრომაგნიტური გრიგალური სტრუქტურების სახით, განპირობებული შეშფოთებათა პროფილის არაწრფივი გრეხით. წანაცვლებითი ქარის სიჩქარის პროფილზე დამოკიდებულებით არაწრფივი უდს ელექტრომაგნიტური სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური, გრიგალური ჯაჭვი ან გრიგალური ბილიკი არაერთგაროვანი ზონალური ქარის ფონზე. ანალიზური და რიცხვითი გამოთვლებიდან ნათელი ხდება, რომ სტაციონარული გრიგალური სტრუქტურების წარმოსაქმნელად საჭიროა სიჩქარის გადატანის რაიმე ზღვრული მნიშვნელობა ორივე დისიპაციური და არადისიპაციური იონოსფერული პლაზმისათვის. შესწავლილია გრიგალების ჩაქრობის დროითი და სივრცითი მახასიათებლები. შეფასებულია გრიგალის არსებობის მახასიათებელი დრო დისიპაციური იონოსფეროში. ხანგრძლივ გრიგალურ სტრუქტურებს გადააქვთ ჩაჭერილი ნაწილაკები, სითბო და ენერგია. ამრიგად, განსახილველი სტრუქტურები შეიძლება წარმოადგენდნენ უდს ელექტრომაგნიტურ ტალღურ მაკროტურბულენტობის სტრუქტურულ ელემენტებს იონოსფეროში.

3	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია, თ. კალაძე	სეისმური ავტორხევები მიწისძვრის მარტივ მოდელებში	XXX თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარი, 20-22 აპრილი, 2016; თბილისი, საქართველო
---	--	--	--

## მოხსენების ანოტაცია

სეისმური პროცესების მოდელირების მიზნით განხილულია ტექტონიკური ფილების მოძრაობის დინამიკა ხახუნის ძალის შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. მარტივი ერთბლოკიანი სისტემის ჰაიკინის ამოცანაში ბლოკის დაბალი სიჩქარეებისათვის მიღებულია ვანდერპოლის განტოლება, რომელიც აღწერს ფრიქციულ ავტორხევებს. ამ მოდელში ნაჩვენებია „სტიცპ-სლიპ“ დინამის არსებობა, რომლის შესწავლა აქტუალურია მიწისძვრის პროცესების შესაძლო მექანიზმის გამოსავლენად. განხილულია ორი ბმული ვანდერპოლის ოსცილატორის დინამიკა, რომელშიც გარე პერიოდული ძალის არსებობისას დაბალისის პერიოდული „ტექტონიკური“ სიგნალის ფონზე გამოვლენილია მაღალსის შირული „სეისმური“ რხევები. ასეთი სიგნალები მიღებულია რეალური სეისმური გაფილტრული სიგნალებიდან, რაც გვიჩვენებს მოდელის კარგ თვისობრივ თანხვედრას რეალურ სეისმურ დაკვირვებებთან.

რიცხვითი მეთოდების გამოყენებით ასევე შესწავლილია ერთი და ორ-ბლოკიანი სისტემების არაწრფივი დინამიკა მშრალი ხახუნის სხვადასხვა ანალიზური მოდელის საშუალებით სიჩქარის შეზღუდვის გარეშე და ნაჩვენებია როგორც „სტიცპ-სლიპ“ მოძრაობის, ასევე დეტერმინირებული ქაოსის შესაძლებლობა შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. რეალურარული და ქაოსური მოძრაობები თვისობრივად შესწავლილია მოდელში მიეღებული სიგნალების სპექტრალური ანალიზით, ბიფურკაციული დიაგრამებით და ფაზური ტრაექტორიების პუნქტების

აგებით. დეტერმინირებული ქაოსის არსებობა ასეთ მარტივ მოდელებშიც პრობლემურს ხდის მიწისძვრის პროგნოზირებას, მაგრამ იძლევა პროცესის ფიზიკურ სურათს.

4	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე, ო. კალაძე	ზონალური დინებების გენერაცია წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში	XXX თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარი, 20-22 აპრილი, 2016; თბილისი, საქართველო
---	--	--	--

### მოხსენების ანოტაცია

შესწავლითი ზონალური დინებების გენერაციის ამოცანა წანაცვლებითი დინებებით მართულ ტურბულენტურ იონოსფეროში. მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი განსხვავებული მასშტაბების მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალდოვანი ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) დამაგნიტული როსბის ტალღის, მისი ორი სატელიტის, გრძელტალდოვანი ზონალური დინების და დიდმაშტაბიანი ფონური წანაცვლებითი დინების (არაერთგვაროვანი ქარი). გამოკვლეულია არაწრფივი ეფექტების (ვექტორული, სკალარული) გავლენა დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაზე სასრული ამპლიტუდის დამაგნიტული როსბის ტალღებით დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულია მოდიფიცირებული პარამეტრული მიდგომა. გამოვლენილია შედარებით მცირემასშტაბიანი უდს დამაგნიტული როსბის ტალღებისა და ფონური წანაცვლებითი დინების დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში ენერგიის გადაქაჩვის ახალი თავისებურებები იონოსფერულ გარემოში.

5	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია	ზონალური სტრუქტურების თეორიული და რიცხვითი ანალიზი არაერთგვაროვან იონოსფერულ გარემოში	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VII ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი; ბათუმი, საქართველო; 5-9 სექტემბერი, 2016
---	------------------------------	---	--

### მოხსენების ანოტაცია

თანამგზავრული ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების და მათი ფიზიკური და თეორიული ინტერპრეტაციის მიხედვით შეიქმნა პლაზმური შეშფოთებების არაწრფივი დინამიკის აღმნერი ფიზიკური მოდელი. ამ მოდელში გათვალისწინებულია შეშფოთებების გეოგოსმოსურ სივრცულად არაერთგვაროვან დინებებთან ურთიერთქმედების არაწრფივი მექანიზმები. ამ დინებებიდან ენერგეტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანია ზონალური ტიპის დინებები და ჩატარებულია ასეთი დიდმასშტაბიანი სტრუქტურების ფორმირების რიცხვითი მოდელირება.

არაწრფივი დინამიკის მეთოდებით შესწავლითი TEMIS სატელიტური მისიის მიერ დამზადებული მაგნიტოსფერული დინებების სიჩქარის და მაგნიტური ველის შეშფოთებების მდგრენელების დროითი მწკრივები. ამ მონაცემების ციფრული დამუშავებისათვის გამოყენებულია რეკურენტული დიაგრამების მეთოდი, რომელიც ეფექტურად მუშაობს მოკლე მონაცემთა მწკრივებისთვის. რეკურენტულობა არის დისიპაციური დინამიური სისტემების ფუნდამენტური თვისება, რაც გამოყენებულია მაგნიტოსფეროს კუდში რელაქსაციური პროცესების ანალიზის შედეგები ინტერპრეტაციისთვის შედარებულია ლორენცის მოდელით და ვეიერშტრასის ფუნქციით მიღებულ სიგნალებთან. რეკურენტული დიაგრამების მეთოდის საშუალებით გამოვლენილია ექსპერიმენტებში

გაზომილი სიგნალების ფრაქტალური ბუნება და დინამიური ქაოსის პარამეტრები. ერთმანეთთან შედარებულია რიცხვითი მოდელირებით და თანამგზავრული მონაცემების დამუშავებით მიღებული შედეგები.

### ბ) უცხოეთში

N	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	კალაძე თ., ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	უდს ელექტრომაგნიტური სტრუქტურების ტრანზიუნტული ზრდა წანაცვლებიტი დინებებით მართულ იონოსფეროში	მეორე საერთაშორისო კონფერენცია ასტროფიზიკასა და კოსმოსურ სივრცეში (APSS 2016); ბეიჯინგი, ჩინეთი; 28 ოქტომბერი–1 მარტი, 2016

#### მოხსენების ანოტაცია

პლანეტარული უდს ელექტრომაგნიტური ტალღები გენერირდებიან იონოსფერულ გარემოსა და სიგრცით არაერთგვაროვანი გეომაგნიტური გელის ურთიერთქმედებით. ნაპოვნია დიდმასშტაბიანი უდს ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის და შემდგომი გაძლიერების ეფექტური წრფივი მექანიზმი წანაცვლებით დინებებში. ნაჩვენებია, რომ ეს ტალღური შეშფოთებები ეფექტურად ქაჩავენ ენერგიას წანაცვლებითი დინებებისგან და ზრდიან საკუთარ ენერგიას და ამპლიტუდას (რამდენიმე რიგით) დროის მიხედვით ალგებრული წესით. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება თვითოლოკალიზების მექანიზმი და ეს შეშფოთებები თვითორგანიზდებიან არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული უდს ელექტრომაგნიტური გრიგალური სტრუქტურების სახით, განკირობებული შეშფოთებათა პროფილის არაწრფივი გრეხით. ჩატარებულია ანალიზური და რიცხვითი გამოთვლები. შესწავლილია გრიგალების ჩატობის დროითი და სივრცითი მახასიათებლები.

2	კალაძე თ., ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	ზონალური დინებისა და მაგნიტური ველის გენერაცია პლანეტარული ტალღების მიერ დედამიწის იონოსფეროში	მეორე საერთაშორისო კონფერენცია ასტროფიზიკასა და კოსმოსურ სივრცეში (APSS 2016); ბეიჯინგი, ჩინეთი; 28 ოქტომბერი–1 მარტი, 2016
---	--	--	--

#### მოხსენების ანოტაცია

გამოკვლეულია დიდმასშტაბიანი ზონალური დინებისა და მაგნიტური ველის გენერაციის შესაძლებლობა იონოსფეროში მოკლე ტალღოვანი დაბალსისშირული ტალღების ურთიერთქმედებით. გამოვლენილია და კარგადაა შესწავლილი შიდა გრავიტაციული ფენის, როსბი-ხანთაძის, როსბი-ალფენ-ხანთაძის და არადაჯახებადი ელექტრონის სკინ სისქის დრეიფულ ალფენის ბმული ტალღების გავრცელება. აღნიშნული ბმული ტალღების წანაცვლებით დინებებთან არაწრფივი ურთიერთქმედების შესასწავლად მიღებულია სათანადო არაწრფივ განტოლებათა სისტემა. არამდგრადობის მექანიზმი დაფუძნებულია სასრულო ამპლიტუდიან მოკლე პლანეტარული ტალღების არაწრფივ პარამეტრულ სამმაგ ურთიერთქმედებებზე, რომელიც იწვევს ენერგიის უკუკასკადს გრძელტალღოვანი არისკენ. ნაჩვენებია, რომ ამგვარი ურთიერთქმედებით შესაძლებელია ინტენსიური მაგნიტური ველების გენერაცია. შესაბამისი ზრდის სიჩქარე შესწავლილია საფუძვლიანად.

3	ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	დამაგნიტებული როსბის ტალღის მიერ ზონალური დინების გენერაცია წანაცვლებით დინებიან იონოსფეროში	მე-11 ყოველწლიური კონფერენცია “პლაზმის ფიზიკასა და მზის სისტემაში”. 15-19 ოქტომბერი, 2016, მოსკოვი, რუსეთი.
---	------------------------------	--	--

#### მოხსენების ანოტაცია

მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი განსხვავებული მასშტაბების მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალდოვანი ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) დამაგნიტებული როსბის ტალღის, მისი ორი სატელიტის, გრძელტალდოვანი ზონალური დინების და დიდმასტრაბიანი ფონური წანაცვლებითი დინების (არაერთგვაროვანი ქარი). გამოკლეულია არაწრფივი ეფექტების (ვექტორული, სკალარული) გავლენა დიდმასტრაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაზე სასრული ამპლიტუდის დამაგნიტებული როსბის ტალდებით დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული (საკუთარ რიცხვებზე განზოგადოებული ამოცანა) და რიცხვითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრული ამპლიტუდის დამაგნიტებული როსბის ტალდის რეინოლდსის ძაბვით და ფონური დინების ზემოქმედებით.

4	ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	ზონალური დინების გენერაციის მოდელირება არაერთგვაროვან იონოსფერულ წანაცვლებით დინებებში .	IAGA-IV ვორკშოპი, პურგადა, ეგვიპტე, 20-24 მარტი, 2016
---	------------------------------	---	--

#### მოხსენების ანოტაცია

დედამიწის ახლომდებარე კოსმოსური გარემო (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ხასიათდება როგორი დინამიკით და ასეთი პროცესების მოდელირებისათვის, განსაკუთრებით გარედან არასტაციონალური (დარტყმითი) ზემოქმედების პირობებში მნიშვნელოვანია დინამიკის დეტერმინირებული და სტრესტური ნაწილების შეფასება, როგორც დიდმასტრაბიანი ტალდური სტრუქტურების, ასევე ფრაქტალური ბუნების სტრუქტურების გენერაციის შესაძლებლობის გამოკვლევა.

ნაშრომში მიღებული ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების და მათი ფიზიკური და თეორიული ინტერპრეტაციის მიზნით შეიქმნა პლაზმური შემფოთებების არაწრფივი დინამიკის აღმნერი ფიზიკური მოდელი. ამ მოდელში გათვალისწინებულია შემფოთებების გეოგოსმოსურ სივრცულად არაერთგვაროვან დინებებთან ურთიერთქმედების არაწრფივი მექანიზმები. ამ დინებებიდან ენერგეტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანია ზონალური ტიპის დინებები და ჩატარებულია ასეთი დიდმასტრაბიანი სტრუქტურების ფორმირების რიცხვითი მოდელირება.

არაწრფივი დინამიკის მეთოდებით შესწავლილია THEMIS სატელიტური მისიის მიერ დამზერილი მაგნიტოსფერული დინებების სიჩქარის და მაგნიტური ველის შემფოთებების მდგენელების დროითი მწყრივები. ამ მონაცემების ციფრული დამუშავებისათვის გამოყენებულია რეკურენტული დიაგრამების მეთოდი, რომელიც უფექტურად მუშაობს მოკლე მონაცემთა მწყრივებისთვის. რეკურენტულობა არის დისიპაციური დინამიკური სისტემების ფუნდამენტური თვისება, რაც გამოყენებულია მაგნიტოსფეროს კუდში რელაქსაციური პროცესების ანალიზისთვის.